CYAN BLACK

# საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 2004 წელი. №244 (4973) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



◎ პრეზიდენტი

## „ვარდების რევოლუციის“ იუბილემდე თბილისის აეროპორტში სრული წესრიგი უნდა დამყარდეს

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ თბილისის აეროპორტის სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტი მოინახულა. პრეზიდენტმა აეროპორტის გენერალურ დირექტორს ნიკოლოზ მანჯგალაძეს და სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბადრი ბიწაძეს სპეციალური მითითებები მისცა.**

სააკაშვილმა ორივე უწყებას დრო 23 ნოემბრამდე დაუთქვა, რათა „ვარდების რევოლუციის“ იუბილესთვის აეროპორტში სრული წესრიგი დამყარდეს.

მისივე თქმით, აუცილებლად უნდა აიკრძალოს „კლანური მმართველობა და აღებ-მიცემობა“, მომსახურე პერსონალს უნდა დაენიშნოს მაღალი ხელფასები და უნდა დაურიგდეთ ახალი ფორმები.

– აეროპორტში მგზავრთა მომსახურება უნდა იყოს საკმაოდ მაღალი დონის, დაუშვებელია ყოველგვარი რიგების წარმოშობა და მგზავრთა რაიმე სახით შეფერხება. აეროპორტი უნდა აღიჭურვოს სათანადო კომპიუტერული სისტემით, – აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა საკმაოდ მკვეთრად გაუსვა ხაზი აეროპორტში თანამდებობის პირთათვის განკუთვნილი VIP დარბაზის არასათანადო ფუნქციონირებას, რადგან „არცერთი თანამდებობის პირი არ უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული პრივილეგიებით“.

– თუ ვინმეს კომფორტი მოესურვება, ამისთვის დამატებითი თანხების გაღებაა საჭირო, რომელიც შემდგომ კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტს დაუბრუნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, – აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე განცხადებით, მომავალი წლიდან აუცილებლად უნდა დაიწყოს აეროპორტის მოდერნიზაცია. – ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებული აეროპორტი, რათა უფრო განვითარდეს ტურიზმი, იმატოს მგზავრთა ნაკადმა და ქვეყანაში შემოსულმა საქართველოს თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა თავი არ იგრძნონ ბანანის რესპუბლიკაში, – თქვა სააკაშვილმა.





ტელეფოტო.

◎ ბრიფინგი

## საქართველო ნორმალური ქვეყანა გახდება!

***– ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება ყოველთვის იყოს საქმის კურსში იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც საქართველოში ხდება, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 20 ოქტომბერს სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე.***

ქვეყნის პირველმა პირმა, კერძოდ, ილაპარაკა ენერგეტიკულ პრობლემებზე, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის თაობაზე, უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს, რომლებიც ჩვენი დღევანდელობის მრავალფეროვან სპექტრს შეეხება.

– უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ შექმნილ ენერგეტიკულ სიტუაციაზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, – საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ მოვახერხეთ ცხინვალის რეგიონიდან კონტრაბანდის გადაკეტვა, რამაც აჭარასთან ერთად, ქვეყანას დამატებით რამდენიმე ასეული მილიონი ლარი მოუტანა. გადავკეტეთ კონტრაბანდა, გავამაგრეთ დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა სოფლები, საიდანაც ვეღარ გამოაქვთ კონტრაბანდა და ყველაფერი ამის შედეგი იყო ის, რომ შეიქმნა დივერსიული ჯგუფი, რომელმაც გადაწყვიტა საქართველოს ენერგეტიკული სისტემის მწყობრიდან გამოყვანა.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, სწორედ ამ ჯგუფმა ააფეთქა ორი ანძა, მაგრამ ვერ წააქცია, ხოლო მესამე, სამწუხაროდ, წააქცია და პრაქტიკულად ამან გამოიწვია ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისი.

იხ. მე-2 გვ.

◎ შეხვედრა

## სავარაუდოდ – სოჭში

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ერთმანეთს შეხვდებიან სოჭში, სავარაუდოდ – 6 ნოემბერს.

◎ კომენტარი

## „პარლამენტის მხრიდან ბიუჯეტისადმი სერიოზული მიდგომა მისასალმებელია“

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ქვეყნის ბიუჯეტი ფართო განხილვის საგანი უნდა იყოს.**

– უნდა ვიცოდეთ, კონკრეტულად რაზე იხარჯება ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები, – აღნიშნა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ პარლამენტის მხრიდან საკითხისადმი სერიოზული მიდგომა მისასალმებელია.

პარლამენტის კომიტეტებმა კონსტიტუციურ ვადებში განიხილეს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და შენიშვნების გასათვალისწინებლად ქვეყნის მთავრობას წარუდგინეს.

პარლამენტის შეფასებებით ნაკლებად არის კმაყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომელმაც თავისი პოზიცია მთავრობის დღევანდელ სხდომაზე დააფიქსირა.

◎ შემთხვევა

## არძინბას ქალიშვილი კონტრაბანდისთვის დააკავეს

**სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროების ინფორმაციით, 17 ოქტომბერს, პრეზიდენტობის კანდიდატის სერგეი ბაღაფშის მომხრეებმა, ალექსანდრე ანქვაბის ხელმძღვანელობით, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ფსოუს გამშვებ პუნქტზე, აფხაზეთიდან ანტიკვარული ნივთების გატანისას თვითგამოცხადებული აფხაზეთის მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ქალიშვილი მადინა არძინბა დააკავეს.**

მადინა არძინბასთვის დიდი ქონების ჩამორთმევის შემდეგ, რომელიც მას აფხაზეთიდან გაჰქონდა, უცნობი რჩება მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი. ხოლო რაც შეეხება ჩამორთმეულ ქონებას, იგი, არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვებამდე სოხუმის ხელისუფლების უშიშროების მომავალ მინისტრთან ინახება. არძიბას ქალიშვილი მადინა არძინბა აფხაზეთში საკურორტო ინფრასტრუქტურის საუკეთესო ობიექტებთან ერთად მოსკოვში მოქმედი ტურისტულ სააგენტო „რუსლანტურის“ მფლობელია.

დაზუსტებული ინფორმაციით, აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განვითარებული პროცესების ფონზე, აფხაზეთი არძინბას ახლო ნათესავებმა, მათ შორის მადინა არძინბას მეუღლემ, ფიჭური კავშირის კომპანია „აკვაფონის“ დამფუძნებელმა ალხაზ არგუნმა და მისმა კომპანიონებმაც დატოვეს.

◎ პრემიერ-მინისტრი

## ზურაბ ჟვანიას პარლამენტის პოზიცია არ მოსწონს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია განცვიფრებას გამოხატავს პარლამენტში 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის გამო. ამის შესახებ მან გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

– პარლამენტის და დეპუტატების ასეთი მიდგომით შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ამ მთავრობას პარლამენტში ოპონენტ პოლიტიკურ ძალასთან აქვს ურთიერთობა, რომელსაც დამოკიდებულების გამძაფრება სურს, – განაცხადა ჟვანიამ. მანვე აღნიშნა, არავის აქვს პრეტენზია, რომ 2005 წლის ბიუჯეტის პროექტი უნაკლოა, თუმცა პრეტენზიები, რასაც პარლამენტში დეპუტატები გამოთქვამენ, იმ მთავარ მიმართულებებს შეეხება, რის განხორციელებასაც მომავალ წელს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება აპირებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, იგი „ინტრიგებში მონაწილეობას არ მიიღებს“. – მაგრამ თუ აქ საუბარია იმაზე, რომ დეპუტატთა ნაწილს არ სურს იმ კურსის და რეფორმების გატარება, რასაც მთავრობა აპირებს, ეს უკვე სერიოზული კრიზისია და ამისთვის უკვე განსაკუთრებული ზომებია მისაღები, – აღნიშნა ჟვანიამ.

– ჩვენ არ ვართ ის მინისტრები, რომლებისთვისაც სავარძლებში ჯდომა ძვირფასია. ჩვენ საქმიანობა უკვე დავიწყეთ და ამას ბოლომდე მივიყვანთ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეს არ არის ის მთავრობა, რომელსაც თავში წამოუთაქებენ, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ და მინისტრებს მიმართა, რომ კომიტეტებში ბიუჯეტის განხილვებს აუცილებლად დაესწრონ.



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## „სომხური საკითხი“ ქართულ პოლიტიკაში

ნურანი, „ეხო“ (ბაქო), 20 ოქტომბერი.

ЭХО

### რუსეთის პოლიტიკა სომეხი ლიდერების შეშფოთებას იწვევს

***ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დასრულების ფონზე საქართველო და თურქეთი აფართოებენ სამხედრო თანამშრომლობის პროგრამებს. მაგალითად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ თურქეთი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გაუწევს 2 მილიონი დოლარის ოდენობის უსასყიდლო დახმარებას. შესაბამის ოქმს ხელს მოაწერენ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბების წარმომადგენლები და ამ ოქმის შესაბამისად, დახმარებას მიიღებენ საქართველოს ეროვნული სამხედრო აკადემია, მარნეულის სამხედრო აეროდრომი, გენერალური შტაბის ერთ-ერთი ქვეგანაყოფი, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ქვეგანაყოფები. გარდა ამისა, თურქეთის წარმომადგენლები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ბრიგადას და ერთ-ერთ მექანიზებულ ბრიგადას გადასცემენ „ლენდროვერის“ მარკის 7 ავტომანქანას, 10 გადასატან რადიოსადგურს, ერთ სტაციონარულ ცენტრალურ რადიოსადგურს და მათი კვების ელემენტებს. სულ კი, თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის მონაცემებით, 1998 წლიდან დღემდე თურქეთმა საქართველოს გაუწია 37 მილიონ 400 ათასი დოლარის უსასყიდლო სამხედრო დახმარება.***

მაგრამ, გაცილებით უფრო საინტერესოა სხვა რამ. იმავე დღეებში ერევნის გაზეთი „აზგი“ მყვირალა სათაურით გამოქვეყნებულ მასალაში „რუსეთი ახალქალაქში 62-ე ბაზას „ათავისუფლებს“ ადგილობრივი სომხებისგან“, წერდა: „500 ახალქალაქელი სომეხი ოფიცერი უკვე გაგზავნეს რუსეთის სხვა სამხედრო ბაზებში“.

როგორც თვით „აზგ“ განმარტავს, ეუთოს სტამბოლის 1999 წლის გადაწყვეტილებების თანახმად, რუსეთმა იკისრა (უფრო სწორად კი, მას დააკისრეს) განეახლებინა მოლაპარაკება საქართველოს ტერიტორიიდან თავისი ორი ბაზის – ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების გატანის შესახებ. საქართველოს მიაჩნია, რომ ამისთვის საკმარისია სამი წელი, თუმცა მოსკოვი 11 წელს მოითხოვს, მოლაპარაკება გრძელდება... ერთი სიტყვით, ამ ფონზე ახალქალაქიდან სომეხი ოფიცრების გადაყვანა რუსეთის სხვა რეგიონებში და მათი შეცვლა ასევე რუსეთის სხვა რეგიონებიდან ჩამოყვანილი სამხედროებით ახალქალაქში აღიქვეს როგორც განგაშის სიგნალი. იმავე „აზგს“ მოჰყავს ადგილობრივი სომეხი ლიდერების – პარტია „ვირქის“ თანათავმჯდომარის დავით რსტაკიანის და იქაური მღვდელმსახურის სამველ ბაბაიანის კომენტარები, რომლებიც იმეორებენ, სომხური პრესიდან უკვე კარგად ცნობილ გამონათქვამებს: რუსეთის ბაზა ადგილობრივი სომეხი მოსახლეობისათვის არა მარტო მთავარი დამსაქმებელი და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთავარი გამსაღებელია, არამედ, „თურქული ფაქტორისგან“ მთავარი დამცველიც არის. თუმცა, ადგილობრივი ლიდერები დიპლომატიურად არიდებენ თავს პასუხს ასეთ კითხვაზე: ხომ არ მოჰყვება საპროტესტო აქციათა ტალღა ჯარების გაყვანის შესახებ ბრძანებას?

აქ, ალბათ, ახსნა-განმარტება იქნება საჭირო. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ რუსი სამხედრო მაღალჩინოსნები, რომლებიც საქართველოში ჩადიოდნენ იქ განლაგებული სამხედრო ბაზების დასათვალიერებლად, თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ იმავე ახალქალაქში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრას. ქართველი პოლიტიკოსები კი უკვე გამოთქვამდნენ შეშფოთებას იმის თაობაზე, თუ როგორ მოიქცეოდნენ ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის წარმომადგენელი ოფიცრები და კონტრაქტით მომსახურე ჯარისკაცები, რუსეთის სამხედრო ბაზებში. ერთი სიტყვით, სცენარი აბსოლუტურად ნათელი იყო: თუ თბილისი დაჟინებით მოითხოვდა მოსკოვის მიერ სტამბოლის სამიტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ახალქალაქში აამოქმედებდნენ „მხარდამჭერ ჯგუფს“, ან, თუ გსურთ – „მეხუთე კოლონას“.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

### კანონპროექტს მხარი დაუჭირეს

**განათლების მინისტრის კახა ლომაიას მიერ გუშინ მთავრობის სხდომაზე წარდგენილ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონპროექტს მინისტრთა კაბინეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს.**

**მინისტრის განცხადებით, ამ კანონპროექტით ზოგადი საგანმანათლებლო სისტემა ფუნდამენტურად იცვლება. სკოლის დირექტორს მინისტრი აღარ დანიშნავს, მას მასწავლებლები და მშობლები შეარჩევენ, რომელიც შემდგომ პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული იქნება პედაგოგებისა და მშობლების წინაშე.**

**პროექტის მიხედვით, უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები 100 პროცენტით იქნება დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნაზე, რადგან, ლომაიას თქმით, სტატისტიკური მონაცემებით, ქართველი ოჯახები რეპეტიტორებზე ყოველწლიურად 12 მილიონ ლარს ხარჯავენ, ქრთამის სახით კი 6,4 მილიონს იხდიან.**

**ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებით, დღეს ქვეყანაში „სამარცხვინო განათლების სისტემა“ არსებობს. – საქართველოს ძირითადი რესურსი არა ნავთობი, არა ოქრო, არა ტყეები, არამედ ხალხია, რომლებიც უნდა განვითარდეს, – განაცხადა ბენდუქიძემ.**

**პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ეს კანონპროექტი პარლამენტში სერიოზული განხილვის საგნად იქცევა. – შეიძლება პარლამენტში კანონპროექტის შემდგომი დახვეწა მოხდეს, მაგრამ აქ ჩამოყალიბებული პრინციპები მთავრობის პოზიციას ასახავს, – აღნიშნა ჟვანიამ.**

**„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში უახლოეს მომავალში შევა.**

### გენპროკურატურის გენერალურ ინსპექციას უნიათობაში ადანაშაულებენ

**„თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები, რომლებიც გორის რაიონული და სამხარეო პროკურორების არჩილ ბაბაჯანიშვილის და დავით წითურის პასუხისგებაში მიცემას კატეგორიულად მოითხოვენ, გენპროკურატურის გენერალურ ინსპექციას უნიათობაში ადანაშაულებენ.**

**„თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრის აკაკი მინაშვილის განმარტებით, აღნიშნული პროკურორები სასტიკად გაუსწორდნენ ერთ-ერთ ეჭვმიტანილს გიორგი მიგრაულს, მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა როგორც ფიზიკურ ძალადობას, ასევე მორალურ ზეწოლას.**

**მინაშვილის თქმით, მიგრაულის ცემის ფაქტთან დაკავშირებით გენერალურმა ინსპექციამ საქმე აღძრა, თუმცა ნაცემი ეჭვმიტანილისგან არც ჩვენება ჩამოურთმევიათ და მისთვის არც სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარებიათ.**

**როგორც მინაშვილი აცხადებს, ამის მიზეზად გენერალურ ინსპექციაში დროის არქონა სახელდება. იგი გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობას მასზე დაქვემდებარებული უწყების გაკონტროლებისკენ მოუწოდებს.**

### კოდორის ხეობა ზამთარს მომზადებული ხვდება

**როგორც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე სახელმწიფო მინისტრმა ჯამბულ ბაკურაძემ განაცხადა, კოდორის ხეობის გამოსაზამთრებლად გამოყოფილი 506 ათასი ლარი უკვე სრულად ათვისებულია.**

**შეძენილია მოსახლეობის გამოსაზამთრებლად საჭირო ყველა პროდუქტი – 330 ტონა ფქვილი, 35 ტონა შაქარი და მარილი, აგრეთვე 20 000 კოლოფი სიგარეტი, 20 ტონა ნავთი, 20 ტონა ბენზინი და 20 ტონა დიზელის საწვავი.**

**– მსგავსი მომარაგება კოდორის ხეობას არ ახსოვს და მოსახლეობა ხელისუფლების მიერ გაწეული სამუშაოს გამო დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს. ამავდროულად, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ კოდორის ხეობასთან ერთად, მომხდარიყო სტიქიის შედეგად დაზარალებული მესტიის რაიონის რეაბილიტაცია, – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.**

გვერდზე გამოყენებულია სააგენტო ინტერ-პრესის მასალები.

◎ განცხადება

### გარდაიცვალა ნანული შევარდნაძე



**გუშინ ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მეუღლე ქალბატონი ნანული შევარდნაძე.**

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იმ დროისთვის თბილისში არ იმყოფებოდა. იგი გერმანიაში არაოფიციალურ შეხვედრებს მართავდა.

◎ წუხელ

**ევროპის სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის III ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

**„ე“ ჯგუფი: – „რუსენბორგი“ – „ეინდჰოვენი“ 1:2,**
**„პანათინაიკოსი“ – „არსენალი“ 2:2,**
**„ვ“ ჯგუფი: „მილანი“ – „ბარსელონა“ 1:0,**
**„შახტიორი“ – „სელტიკი“ 3:0,**
**„ზ“ ჯგუფი: „ანდერლეხტი“ – „ვერდერი“ 1:2,**
**„ვალენსია“ – „ინტერი“ 1:5,**
**„თ“ ჯგუფი: „ჩელსი“ – ცსკა 2:0,**
**„პარი სენ-ჟერმენი“ – „პორტუ“ 2:0.**



## ინტერპანორამა

### სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებულია „ხოდორკოვსკის საქმესთან“ დაკავშირებით

**ხოდორკოვსკის საქმე აშშ-ს მუდმივი ინტერესისა და შეშფოთების საგანია, და ეს საქმე, ეჭვგარეშეა, გავლენას ახდენს არა მხოლოდ რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვის სიტუაციასთან დაკავშირებით, არამედ ნეგატიურად მოქმედებს რუსეთში საინვესტიციო კლიმატზე, – აცხადებენ სახელმწიფო დეპარტამენტში.**



### ტაილანდში დაიწყო სისასტიკით ცნობილი ვეგეტარიანელების ფესტივალი

**ვეგეტარიანელთა ფესტივალი ტაილანდში თავის პოპულარობას უმადლის მონაწილეთა ექსტრემალურ ქმედებებს. მისი მონაწილენი იყენებენ დანებს, ხმლებს, ქოლგებს და ელექტროდრელს. წლეულს ერთმა აქტივისტმა ლოყა გაიხვრიტა... ველოსიპედით.**



### სწავლულების დასკვნა

**იაპონელებს, ჩინელებსა და ებრაელებს გააჩნიათ გენები, რომლებიც ალკოჰოლიზმისგან მათ იცავენ ღვიძლში გარკვეულ ნივთიერებათა ამაღლების უნარით. სხვა ხალხებს, სწავლულთა მტკიცებით, აქვთ გენები, რომელთა საშუალებითაც ნივთიერებანი მოქმედებენ არა ღვიძლზე, არამედ ტვინზე, რაც ამაღლებს ლოთებად მათი ჩამოყალიბების რისკს.**

CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 244, ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 2004 წელი.

◉ ბრიფინგი

# საქართველო ნორმალური ქვეყანა გახდება!

(პირველი გვერდიდან)

როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ჩვენმა უშიშროების სამსახურმა ამ ანძის აფეთქების შემდეგ ზუსტად 3 საათში, უახლესი ტექნიკის გამოყენებით, შეძლო დივერსიული ჯგუფის ლოკალიზება. ადგილზე გაიგზავნა ჯგუფი, რომელმაც მათ გზა გადაუკეტა. იმათ კი ცეცხლი გახსნეს, წინააღმდეგობა გასწიეს და ეს დივერსიული ჯგუფი განადგურებულია.

ორი კვირაა მიმდინარეობს მუშაობა ხაზის აღსადგენად. ამ აღდგენითი სამუშაოების დროს იქ, ადგილზე, ტრაქტორისტი დაგვეღუპა. მინდა მის ოჯახს სამძიმარი გამოვუცხადო.

ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა საქართველოში არ შედგეს არც ერთი დივერსია, არც ერთი ტერორისტული აქტი.

პრაქტიკულად, ენგურჰესის მესამედი გალის რაიონში ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება, ამის გამო ელექტროენერგიის თითქმის ნახევარი მეორე მხარეს მიაქვს. არადა აფხაზეთში დარჩენილია რამდენიმე ათეულათასი მცხოვრები, ელექტროენერგია კი თითქმის იმდენივე გააქვთ, რამდენიც საქართველოს ოთხი ნახევარ მილიონ სხვა მცხოვრებს. შემდეგ ამ ენერგიას ჰყიდიან რუსეთში, თვითონ აკეთებენ ფულს და მერე ჩვენ რუსეთიდან ვყიდულობთ.

ამგვარად, ტერიტორიული მთლიანობა არ არის, უბრალოდ, ზოგადი რამ, ეს არის ის ბორკილები, რომელიც აუცილებლად უნდა გავწყვიტოთ, რათა ქვეყნის მკვეთრი განვითარება მოხდეს. რა თქმა უნდა, ეს მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს. ერთიანობა და ეკონომიკური პროგრესი არის ის, რაზეც ჩვენი გზა გადის, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, შექმნილია ენერგოშტაბი, რომელსაც ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობს, რათა თბილისში იყოს ელექტროენერგიით 24-საათიანი მომარაგება. იმედია ამ პირობას არ გაგვიცრუებენ. ამასთან ყველგან, რეგიონებში უკეთ უნდა იყოს საქმე, – დასძინა საქართველოს პრეზიდენტმა.

რაც შეეხება 2005 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებულ მსჯელობასა და კამათს, მიხეილ სააკაშვილის თქმით, პოლიტიკური დებატები განხეთქილებას როდი ნიშნავს. ეს არის ნორმალურობის, სიჯანსაღისა და იმის ნიშანი, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა. მე მივესალმები პარლამენტში ბიუჯეტის სერიოზულ განხილვას, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, – რადგან ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც ხელისუფლება იღებს, ათას საცერში უნდა იყოს გაწურული – პარლამენტშიც და, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებაშიც. მე არ ვიღებ არც ერთ გადაწყვეტილებას ისე, რომ 10-20 ადამიანს არ დავეკითხო, არ შევუთანხმო, არ მოვეთათბირო, არ გამოვიკითხო საზოგადოებრივი აზრი, თუ რაღაც ძალიან სასწრაფო არ არის. ასევე მთავრობა არ იღებს და სხვაგვარად არც უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს, ეს არის მთავრობა, რომელმაც ბიუჯეტში 600 მილიონზე მეტი თახა შემოიტანა.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა დააკონკრეტა, თუ სად მიდის ეს ფული და აღნიშნა, რომ უპირველეს ყოვლისა, იგი ხმარდება 12-წლიან ენერგეტიკული ვალების გასტუმრებას, მეორე ნაწილი – საპენსიო დავალიანების 60 პროცენტამდე დაფარვას. მომავალი წლის დამდეგს კი დაიფარება ყველა დანარჩენი. 17 მილიონი ლარი მოხმარდა მასწავლებელთა 12-წლიანი სახელფასო დავალიანების გასტუმრებას. მთავარია ის, რომ ამ თანხის ნაწილი მოხმარდა პენსიებისა და ხელფასების გაცემას.

მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანაში უნდა იყოს კანონის უზენაესობა: პოლიციას, საპასპორტო სამსახურს, მებაჟეებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ანაზღაურება. აი, ეს არის ნორმალური ქვეყანა და საქართველო სწორედ აქეთკენ მიდის, – დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

◉ აქტუალური თემა

# მოვლენები თუ საჩვენოდ არა, არც ჩვენთვის საზიანოდ ვითარდება

**ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების მიმდინარე ეტაპთან დაკავშირებით, დღეს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის დახურულ სხდომაზე სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას ინფორმაციას მოისმენენ. პარლამენტში სახელმწიფო მინისტრს უკვე სამი დღეა ელიან.**

როგორც მოგახსენეთ, სხდომა დახურული იქნება. ძნელია რამე ვარაუდის დაშვება, რას გეგმავენ მთავრობაში, არსებობს თუ არა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად რამე ახალი სამოქმედო გეგმა. აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას უკვე იძლევა – შეიძლება ითქვას, სიტუაცია აფხაზეთში თუ საჩვენოდ არა, არც ჩვენთვის საზიანოდ ვითარდება. მართალია, აფხაზეთის თითქმის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის შემოსვლის შესაძლებლობას გამორიცხავს, მაგრამ ის, რომ აფხაზმა ხალხმა უარი თქვა რუსეთის კანდიდატზე, ძალიან მნიშვნელოვანია. რუსეთის მხარდაჭერით ბაღაფშიც სარგებლობს, მაგრამ ეს მხარდაჭერა კრემლისგან არ მოდის.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ბაღაფში რთულ მდგომარეობაშია: ერთი მხრივ, მას აქვს საკუთარი ხალხის ნდობა, მეორე მხრივ კი დამოუკიდებელია რუსეთისგან, რადგან რუსეთმა მას უარი უთხრა. საგულისხმოა ისიც, რომ აფხაზეთში ბაღაფშის ქართველი ცოლისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ. გარდა ამისა, არჩევნებამდე ბაღაფში რამდენჯერმე ჩავიდა გალში და იქაურ ქართულ მოსახლეობას დაჰპირდა, რომ საქართველოსთან კარგ ურთიერთობას აღადგენს. ყოველ შემთხვევაში, ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ აფხაზეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ბაღაფში შესაძლოა დაფიქრდეს, თუკი საქართველო კარგ წინადადებებს შესთავაზებს და შედეგი აფხაზეთისთვის სასარგებლო იქნება.

საინტერესო დეტალი: აფხაზეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი თურმე ქართული მოსახლეობაა. ერთი წლის წინათ აფხაზეთში აღწერა ჩატარდა, რომლის შედეგები არ გამოქვეყნებულა. თუმცა, კულუარული ინფორმაციით, პირველ ადგილზე არიან ქართველები – 65 000 ადამიანი, მეორეზე – 50 000 აფხაზი, მესამეზე – 40 000 სომეხი და მეოთხეზე – 16 000 რუსი. გალის რაიონში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 25 000-მა ამომრჩეველმა და მათგან 84 პროცენტმა ხმა ბაღაფშს მისცა. მოკლედ, აფხაზეთის არჩევნების შედეგი (თუ არაფერი შეიცვალა) უპირველესად რუსეთის დამარცხებაა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კრიტიკულ სიტუაციაში ბაღაფში შესაძლოა არ მოიქცეს ისე, როგორც ეს რუსეთს აძლევს ხელს. მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ვინაობა საბოლოოდ გაირკვევა.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, სოფელ ქურთის მოსახლეობამ ბოლო დროს იქ გახშირებული სროლების გამო, ორიოდე დღის წინ ცხინვალიჯავის ავტომაგისტრალი გადაკეტა. რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი მათ დაჰპირდა, რომ სროლების შეწყვეტისთვის ყველა ზომას მიიღებს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ედუარდ კოკოითისა და ზურაბ ჟვანიას შეხვედრა შესაძლოა უახლოეს დღეებში შედგეს. ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ კოკოითთან შეხვედრას აზრი იმ შემთხვევაში ექნება, თუ მოხდება რეგიონის სრული დემილიტარიზაცია, გაგრძელდება ეკონომიკური პროექტების განხორციელება. ამასთან, შესაძლებელი გახდება ცხინვალის რეგიონის სტატუსზე საუბრის დაწყება.



ხელისუფლება აცხადებს, რომ აღნიშნულის მისაღწევად ყველაფერი კეთდება. კერძოდ, ქართული მხარე პოლიტიკური ზეწოლისა და ჰუმანიტარული მისიების ერთდროულ პოლიტიკას კვლავ განუხრელად განაგრძობს. ოსური სკოლების დასახმარებლად პარლამენტმა საკუთარი ხარჯებიდან თანხები უკვე გაიღო. ქართული მხარე მიიჩნევს, რომ პირველ რიგში უნდა ვეცადოთ, ორ ხალხს შორის ნდობა აღდგეს, რისთვისაც მათთან უფრო მეტი კონტაქტია საჭირო.

**მზია გელენავა.**

◉ რეპორტაჟი

# ორდღიანი ხმაური აჭარის უმაღლეს საბჭოში

**თავის მორიგ, მეოთხე სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უნდა მიეღო კანონი „აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ". სხდომის დაწყებისთანავე დეპუტატებმა განცხადებების გაკეთება დაიწყეს. (ამ შეკითხვებში გამოიხატა ის განწყობა, რაც აჭარში სუფევს).**

**უწინარესად, დეპუტატებმა მოითხოვეს პასუხი შეკითხვაზე – რით ხელმძღვანელობდა პოლიცია, როდესაც ხულოსა და შუახევის გამგებლებს აპატიმრებდა? რა უფლებით გამოურთეს შაბათს წყალი ბათუმელებს „წყალკანალტრესტისა" და ენერგომომარაგების სამსახურებმა? რა ნიშნის მიხედვით იმართება აჭარაში ტენდერები და ვინ ლობირებს იმ კერძო კომპანიებს, რომლებიც ჩალის ფასად ყიდულობენ აჭარის სიმდიდრეს? დაბოლოს, ყველაზე მეტი ხმაური მოჰყვა დეპუტატების შეკითხვას – ვინ ნიშნავს აჭარაში კადრებს და რა ნიშნით არჩევენ მათ?**

ის იყო ხმაურიანი სხდომა უნდა დამშვიდებულიყო, რომ ოპოზიციამ თვალი მოჰკრა აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ირაკლი ფაღავას, რომელიც დარბაზში დეპუტატების რიგებში დამჯდარიყო. ამას, აბა, ვინ მოითმენდა და არჩევნების მთავარ „მამამარჩენალს" მისთვის შეუფერებელი ადგილი დაატოვებინეს. ცხელ გულზე უსკოს თავმჯდომარემ სამდივნოს მაგიდაზე დადგმული ბოთლიდან „ბორჯომი" დალია და დარბაზი დატოვა.

თერთმეტ საათზე დაწყებული სხდომა თორმეტზე იმ იმედით დავტოვეთ ჟურნალისტებმა, რომ ორ საათზე აჭარის პარლამენტში დაგროვილ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე კობა ხაბაზი (ლევან ვარშალომიძე საზღვარგარეთაა და ყველაფერზე ხაბაზს მოუწია პასუხის გაცემა), აჭარის ფინანსთა მინისტრი ალექსანდრე ბეჟანიძე, შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი გიორგი პაპუაშვილი და აჭარის ენერგოკომპანიის უფროსი რუსლან ხოროიშვილი მოვიდოდნენ.

ისინი მართლაც შესაშური ოპერატიულობით მოვიდნენ.

დეპუტატებმა კობა ხაბაზს შეახსენეს, რომ იგი მარტო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე კი არ არის, არამედ ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ უზრუნველყოფასა და სხვასაც ხელმძღვანელობს და პასუხი მოითხოვეს ბოლო დროს ბათუმის საავადმყოფოების დირექტორების დანიშვნასთან დაკავშირებით.

კობა ხაბაზმა მოკლედ განმარტა: საავადმყოფოები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებია 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით, ხოლო იქ დასაქმებული ადამიანები – ამ დაწესებულების დაქირავებულნი. ამიტომ, ხელმძღვანელის დანიშვნის საკითხი კოლექტივის გადასაწყვეტი არააო. რაც შეეხება კადრების შერჩევას, ამ საკითხს უმაღლესი საბჭოს შესაბამის კომისიას და ექიმთა ასოციაციას ვუთანხმებო. მას კომისიის თავმჯდომარე ლეილა ჩხეიძეც დაეთანხმა.

იხ. მე-3 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „სომხური საკითხი" ქართულ პოლიტიკაში

## რუსეთის პოლიტიკა სომეხი ლიდერების შეშფოთებას იწვევს

**ნურანი, „ეხო" (ბაქო), 20 ოქტომბერი.**

ЭХО

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ არც ახალქალაქში და არც ერევანში აშკარად არ აღმოჩნდნენ მზად იმისთვის, რომ რუსეთი ისე არ მოიქცეოდა, როგორც ეს თავიანთ გეგმებში ჰქონდათ გათვლილი სომეხ სტრატეგებს. აჭარის მაგალითმაც ცხადყო, რომ ასლან აბაშიძის გეგმებისა და იმედების მიუხედავად, ბათუმში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობა არ ჩარეულა იქ მიმდინარე მოვლენათა განვითარებაში. „რატომ ცვლის რუსეთი 62-ე სამხედრო ბაზის ეთნიკურ შემადგენლობას? – სვამს კითხვას „აზგ". – რუსეთის წყაროები ოფიციალურად აღნიშნავენ, რომ 500 სომეხი ოფიცრის გადაყვანა რუსეთის სხვა სამხედრო ბაზებში და მათი შეცვლა არასომეხი ოფიცრებით, უბრალოდ, საგეგმო როტაციაა. ასეთი განმარტება შეიძლება ვირწმუნოთ, თუმცა, შეიძლება ეჭვიც შეგვეპაროს. ერთი რამ ცხადია: ჯავახეთიდან 500 სომეხი ოფიცრის გაყვანით, რუსეთმა შეიტანა თავისი „წვლილი" ჯავახეთის სომხებისგან „გაწმენდის" საქმეში. ალბათ, არ არის დასამალი, რომ ამ 500 ოფიცრიდან და მათი ოჯახების წევრებიდან უმეტესობა არასდროს აღარ დაუბრუნდება სამშობლოს". რის შემდეგაც მოჰყავს ფრიად საინტერესო სენტენცია: „...დაახლოებით 200 წლის განმავლობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „სომხეთის ფაქტორს". მაგრამ ყველაზე პასუხსაგებ მომენტში, რუსები ზურგს აქცევდნენ სომხებს და მათ თურქების პირისპირ ტოვებდნენ. რუსები, ალბათ, წავლენ ახალქალაქიდან. მაგრამ ჩვენთვის მთავარია არა მათი წასვლა, არამედ ის, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას. ამჯერად მაინც უნდა შევიკავოთ თავი იმისგან, რომ კვლავ არ გადავეშვათ „რუსულ მორევში". წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება ჯავახეთის სომეხ მოსახლეობას და სომხეთ-საქართველოს ურთიერთობას".




მაგრამ იბადება ასეთი კითხვა: მაინც როგორ აპირებს „აზგ", რომ „არ გადაეშვას რუსულ მორევში"? თეორიულად, რა თქმა უნდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მწარე სენტენციებს, მოჰყვება „საღი აზრის" გამარჯვება და იმის მცდელობა, რომ დაამყარონ ურთიერთგაგება მეზობელ ხალხებთან, ისე, რუსეთის გამოქომაგების იმედი რომ არ ჰქონდეთ. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ სომეხი ლიდერები მოუწოდებენ თავიანთ ხალხს აღუდგნენ წინ „თურქეთის ფაქტორს" საკუთარი ძალებით, და, ტერორის ტაქტიკაზე გადასვლაც, პრინციპში, არ არის გამორიცხული. განსაკუთრებით, ბაქოთბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დასრულების ფონზე.

**მოამზადა
სიმონ კილაძემ.**

◉ რთველი – 2004

# გლეხკაცს ქარხანაც დედინაცვლად ექცა და ბაზარიც

## ვაზს გადაშენების საშიშროება ემუქრება

**ახლა კახეთში ის დროა, როცა მოსავალი ჩამაჭრებულ-ჩაბადაგებული, გლეხკაცი კი გახალისებულ-გალაღებული უნდა იყოს.**

**ასე მოველოდი, თუმცა სხვაგვარი სურათი დამხვდა, როგორც წინანდლელმა მევენახემ გურამ ბატიაშვილმა მითხრა, გლეხობა წლევანდელი შედეგით განაწყენებული და პირგამეხებულია.**

**– რატომ, რა მოხდა?** – ვეკითხები.

– იმიტომა, ჩემო ძმაო, რომა შრომა, რაც მთელი წლის მანძილზე ზვრებში ჩავღვარეთ, არავინ დაგვიფასა.

**– წელსაც, კაცო?**

– სამწუხაროდ, წელსაც. – არადა მთავრობა, რომელიც ვარდების რევოლუციით მოვიდა, ვარდისფერ ცხოვრებას გვპირდებოდა.

**– მერე დანაპირები არ შეასრულა?**

– აბა როგორ, როცა მევენახეს წვითა და დაგვით მოწეული მოსავალი წელსაც გაუნიორწყლდა. ღვინის ქარხნებმა ყურძენი ან არ მიიღეს, ან თუ მიიღეს კიდევა, ჩალის ფასადა.

**– შენ არაფერი ჩაგიბარებია?**

– შარშანდელმა შეშინებულმა წელს ადრევე მოვკრიფე და კილოგრამი 40 თეთრად გადავყარე. ბევრმა ამ ფასად ვერ გაიმეტა, ყურძენი გადაუმწიფდა და მოსავალი გაუნახევრდა.

**– შარშან რაღა მოხდა?**

– ისა რომა, ფასი ვიცოტავე, რაც მოსავალი მივიღე, დავწურე, მაგრამ რა მოვიგე? 10 ტონა თავანკარა ღვინო დღემდე გაუყიდავი დამრჩა.

**– ამიტომ ჩაბარება სჯობია.**

– სჯობია, მაგრამ რომ არ იბარებენ? როგორც ვიცი, წლეულს კახეთში ღვინის ქარხნებმა რაღაც 30 ათასამდე ტონა ყურძენი მიიღეს. ამდენს ადრე მარტო ერთი მეურნეობა აბარებდა. ჩემი თვალით ვნახე, ქარხნების წინ რიგში მდგომ გლეხებს ჩანებში ყურძენი როგორ უთუხთუხებდათ...

**– რატომ მიიყვანეს საქმე აქამდე, მთავრობამ ღვინის ქარხნებს საკრედიტო თანხა ხომ გამოუყო?**

– ჰო, როცა საქმე წახდა, მერეღა დაფაცურდნენ, თანაც, როგორც გავიგე, ის თანხა ქარხნებს ჯერაც არ მიუღიათ და ჩვენ რას მოგვცემენ!

**– სხვებსაც დაველაპარაკე, ხალხი, როგორც ჩანს, ძალიან უკმაყოფილოა.**

– უკმაყოფილო რომელია, ალბათ გაიგებდი, ზოგმა სოფელმა ცენტრალური გზა გადაკეტა, ზოგიც დედაქალაქში ჩავიდა და პროტესტი აქციის მოწყობით გამოხატა.

**ერთი სიტყვით, კახეთს წლევანდელმა რთველმა არ გაუმართლა. არადა, უკეთესობისკენ სვლის მოლოდინი დიდი იყო. უკანასკნელ პერიოდში მხარეში ყოველწლიურად საშუალოდ 1500-მდე ჰექტარი ახალი ვენახი შენდება და დაახლოებით ამდენივე ფართობი ემატება მსხმოიარე ზვრებს. თუ ყურძნის ჩაბარება-გადამუშავების მოცულობა შესაბამისად არ გაიზარდა, ამდენ მოსავალს გლეხკაცობა სად წაიღებს?**

– ვერსად ვერ წაიღებს, – ამბობს ბატონი გურამი, – და ის იძულებული გახდება, როგორც გააშენა, ისევე გაჩეხოს, რათა სხვა კულტურები მოიყვანოს და როგორმე სარჩო-საბადებელი იშოვოს. ამის გაკეთება ჩვენებურ კაცს ძალიან გაუჭირდება (მისთვის გინდ ტყვია გისვრია, და გინდ ვაზისთვის გილალატნია), მაგრამ თუ სხვა გზა არ დარჩენია?!

**ჩვენ, რა თქმა უნდა, იმ გზებზეც ვისაუბრებთ, რაც ვაზსა და მეზვრეს ერთად გადაარჩენს, გლეხკაცს ეკონომიკურად და სულიერად მოაღონიერებს. გურამ ბატიაშვილი ცხოვრებაგამოვლილი, მევენახეობაში ჭიპმოჭრილი კაცია და ბევრი რამ დაეჯერება. იგი წინანდლის მეურნეობაში წლების მანძილზე მუშაობდა ბრიგადირად, აგრონომად, მთავარ აგრონომად და, წარმოიდგინეთ, დირექტორადაც კი. საბაზრო ეკონომიკამ არც ერთი თანამდებობა აღარ შეარჩინა, მაგრამ შერჩა გამოცდილება, რომელსაც, თუკი ვინმე რამეს შეეკითხა, დაუზარებლად უზიარებს.**

– მაშინ ჩვენს მეურნეობას, – იხსენებს გურამ ბატიაშვილი, ვენახი 980 ჰექტარზე ჰქონდა გაშენებული, აქედან მარტო კაბერნეს უნიკალურ ჯიშს 430 ჰექტარი ეკავა. მეურნეობის დაშლის შემდეგ 300 ჰექტარი გლეხობას დაურიგდა, 125 ჰექტარი წინანდლის ღვინის ქარხანას დარჩა, დანარჩენი კი გაიჩეხა. აღარ მინდა ეს პროცესი განმეორდეს, ჩვენ ისეთი მიწა გვაქვს და ისეთი მეურნე ხალხი გვყავს, ზვარმა და მეზვრეებმა ერთიათად უნდა იბარტყონ.

**– მაგრამ ამისთვის რა არის საჭირო?**

– უპირველესად, ხელისუფლების მზრუნველობა მევენახეობისადმი. იგი, როგორც პრიორიტეტული დარგი, მთავრობისგან მეტ მხარდაჭერასა და ყურადღებას იმსახურებს. რა თქმა უნდა, საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგი არავინ ვართ, მაგრამ ვერც იმას მოვიწონებთ, რასაც ამ დარგში შექმნილი ქაოსისა და განუკითხაობის შედეგად ვიღებთ. ეს პროცესი განსაკუთრებით რთველობისას იჩენს ხოლმე თავს, რაც როგორც წესი, გლეხობის საზიანოდ მთავრდება.

ეს რომ არ მოხდეს, მოსავლის აღების პერიოდში ყურძნის გადამამუშავებელი სახელმწიფო საწარმოების წილი უნდა გაიზარდოს. მე ნამყოფი ვარ უცხოეთის ქვეყნებში, იქ სახელმწიფოს წილი 30 პროცენტი და მეტია. ჩვენს რაიონში მხოლოდ ერთი საწარმო გვაქვს ასეთი – წინანდლის ღვინის ქარხანა, რომელსაც შეუძლია დღეში საშუალოდ 1000-1500 ტონა ყურძენი გადაამუშაოს, მას კი მთელი 7 წელიწადია ახალი მოსავალი არ მიუღია.

**– რატომ?**

– სახელმწიფო არ აფინანსებს და იმიტომ. წლეულს როგორღაც 700 ტონამდე ყურძენი გადაამუშავა და ამით თავის მისია შესრულებულად ჩათვალა.

**– სხვა ქარხნები რაღას აკეთებდნენ?**

– ისინი კერძოა, უნდათ – მიიღებენ ყურძენს და უნდათ – არა. თანაც თუ სახელმწიფომ კრედიტი არ გაიღო, თავს რატომ აიტკიებენ! ფასსაც იმდენს დაადებენ ყურძენს, რამდენიც მოეპრიანებათ.

**– როგორც ვიცი, მაგათ საკუთარი ზვრებიც აქვთ.**

– სწორად შეგიმჩნევიათ, აჩინებულის ღვინის ქარხანას, რომელიც კომპანია „ჯივიესს" ეკუთვნის, უკვე 500 ჰექტრამდე ვენახი აქვს გაშენებული. ასევეა თელავის ღვინის მარანი და ზოგი სხვაც. ისინი თანდათანობით მონოპოლისტები ხდებიან და ესეც გლეხობის კისერს აწვება. ასეთ ქარხნებს, აგრეთვე ცალკეულ მსხვილ ფერმერებს, ყურძნის მოყვანა გაცილებით იაფი უჯდებათ, ვიდრე ჩვენ, რაც ბაზარს აიაფებს და ისევ და ისევ გლეხობის ჯიბეს ათხელებს.

**– გლეხმა ყურძენი თავად რომ წაიღოს ქალაქში გასაყიდად?**

– ჯერ ერთი, ბაზარში მას არავინ შეუშვებს და მეორეც – ჯაფით მოწეული მოსავალი იქაც იაფად – 45-50 თეთრად უნდა გადაყაროს. 80 თეთრად ან ლარად რომ ყიდის, ის უკვე გადამყიდველია.

**– ბაზარზეც მინდოდა მეკითხა, მასზე რა აზრისა ხართ?**

– აკი გითხარით, გლეხისთვის ღვინის ქარხანაც დედინაცვლად იქცა და ბაზარიც. უცხოურზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მან შინაური ბაზარიც დაკარგა. იგი პირთამდე სავსეა ფალსიფიცირებული, სპირტით გაჯერებული ღვინით და გლეხურს, ნატურალურს სათოფეზეც აღარ იკარებს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის დამოკიდებული მომხმარებლის გემოვნებასა და მოთხოვნაზე, მაგრამ რა ქნას, თუ ისიც ჯიბეგაფხეკილია და ხარისხიანს ნაყალბევი ღვინის სმას არჩევს? აუცილებელია, ბაზარში ხარისხიან ღვინოზე მოთხოვნა მომავალში მაინც გაიზარდოს.

**სწორედ ამიტომ მოვითხოვთ კახელები სახელმწიფოს დახმარებას. ბაზარს დარეგულირება სჭირდება, თუ იქიდან უცხოური და ნაყალბევი პროდუქცია არ განიდევნა, გლეხის შრომას ფასი არასოდეს დაედება. სახელმწიფომ იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ გლეხობა ტექნიკას, სათადარიგო ნაწილებს, საწვავს ცეცხლის ფასად არ ყიდულობდეს. მას დღეს თავად უჯდება კილოგრამი ყურძნის მოყვანა 20-25 თეთრი და 40 თეთრად როგორ გაყიდოს.**

**– თავადაც ასეთ დღეში ხართ?**

– რა თქმა უნდა, დღეს შეღავათიან ფასებში არავინ აღარაფერს იძლევა, მაგრამ მე სხვა შემოსავლებიც მაქვს. ვენახის გარდა იჯარით ავიღე 11 ჰექტარი მიწა, სადაც ყოველწლიურად ხორბლის მაღალხარისხოვანი მოსავალი მომყავს, მაგრამ აქაც პრობლემებს ვაწყდები. ადგილობრივი წისქვილკომბინატები უფრო უცხოეთიდან შემოტანილ იაფფასიან ხორბალს ეტანებიან, ვიდრე ცილებით სავსე ჩვენებურ პურეულს. მყავს 20 სული ძროხა და ღორებიც. სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონებში კილოგრამ რძეს 30 თეთრად იბარებენ. თელავში ასეთი მომსახურება არა გვაქვს და იძულებული ვარ, ყველი ვამზადო და ბაზარში გავყიდო.

**– შვიდ ათეულს გადაცილებული კაცი ამდენს როგორ ასწრებთ?**

– რომ არ ვასწრებდე, ასე ყოჩაღად ვერ ვიქნებოდი. შესანახი არავინა მყავს, რომ დამჭირდეს, შვილები და შვილიშვილები აქეთ მომეხმარებიან, მაგრამ მე თვითონ უსაქმოდ ვერ გავჩერდები. მით უფრო ახლა, როცა ვხედავ, რომ ვაზსა და მეზვრეს უჭირს. თანაც სადა – წინანდალში!

**მართლაც, წინანდალი ხომ საქართველოში ვაზისა და ღვინის სიმბოლოა. სამომავლოდ აქ დაღონებული ვაზი და მეზვრე ღმერთმა ნუ გვანახოს.**

**ოთარ ხუციშვილი.**
**„სრ". სპეც. კორ.**
**თბილისი-წინანდალი-თბილისი.**



(მარჯვნივ) რთველში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 244. ხუთშაბათი. 21 ოქტომბერი. 2004 წელი.



**დედაქალაქი**

# აუქციონი „კრიშების“ გასანადგურებლად

## თბილისში ტრანსპორტის რეგულირების ახალი სისტემა ინერგება

**სპეციალისტთა და სტატისტიკოსთა მონაცემებს თუ დავეყრდნობით (რა უფლება გვაქვს არ ვენდოთ), მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აღურიცხავი და დაუბეგრავი დაგვრჩა 316 ათასი ტონა პურფუნთუშეული, 262 ათასი ტონა ფქვილი, 440 ათასი ტონა საწვავი, ასევე, დიდი რაოდენობით სიგარეტი, სარეცხი საშუალებები, რადიო და ელექტრომოწყობილობები, სანტექნიკა და... სატრანსპორტო საშუალებანი.**

ჩვენში ჯერ კიდევ კურიოზულად აღრიცხავენ და, ეს მერამდენე წელიწადია, სასაცილო შედეგებს აქვეყნებენ: საშუალოდ დღეში ერთ სულ მოსახლეზე 58,7 გრამ პურს, 48 გრამ ფქვილს, 3,9 გრამ მაკარონს, 2,3 გრამ კარაქს ან ძეხვს, 11,3 გრამ მინერალურ წყალს მოვიხმართ.

ყველაფერს თავი დავანებოთ და მხოლოდ პურზე შევჩერდეთ. ლამის მთელი საქართველო გაიძახის ხმელა პურზე ვართო ან ცარიელი პურით გვიდგას სულიო. რა თქმა უნდა, ეს გამონათქვამი ზედმეტად ჰიპერბოლურია (ჩვენ საერთოდ გვიყვარს გაზვიადება-გადამლაშება) მაგრამ, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რომ მართლა პურით ცოცხლობს, ამას წყალი არ გაუვა.



მაშ, რანაირად გვყოფნის დღეში 58,7 გრამი პური?

რა თქმა უნდა, არ გვყოფნის და მინიმუმ ხუთჯერ მეტსაც მოვიხმართ, მაგრამ... დანარჩენს არ აღვრიცხავთ და ისევ ჩრდილოვანი, ფარული, აღურიცხავი ეკონომიკის პირობებში ვცხოვრობთ.

საქმეში ჩაუხედავი მკითხველი შემედავება, — აკი, ბიუჯეტს გადაჭარბებით ვავსებთ და წლეულს მისი შეკრეჭა-სეკვესტრირება არ მომხდარაო?!

კი ბატონო, მართლაც ასეა, მაგრამ ძირითადად ეს ხდება ერთჯერადი კომპენსირების, ერთჯერადი „შეწერვების“, ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებაში არსებული მატერიალური აქტივების ხარჯზე და არაფერი აქვს საერთო ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის, აღურიცხაობის წინააღმდეგ გეგმაზომიერ, მკაცრ, დაუნდობელ ბრძოლასთან.

სპეციალისტები იმასაც მიუთითებენ, რომ ეს ერთჯერადი აქტივები, მით უფრო უახლოეს თვეებში გასაყიდი მსხვილი ობიექტების ამოწურვის შემდეგ, 2006 წლიდან ბიუჯეტს ისევ ძალიან გაუჭირდება და საგარეო ვალების გასასტუმრებელ ხარჯებსაც ვერ ან ძლივსღა შევაგროვებთ!

ბუნებრივია, ეს ასე იქნება, ბოლოს და ბოლოს, თუ აღრიცხვიანობა არ მოვაწესრიგეთ და ჩვენს ჩინოვნიკებს, ბიზნესმენებს, მცირე მეწარმეებს და თითოეულ ქართველს სახელმწიფოებრივად აზროვნება არ ვასწავლეთ.

* * *

რა ხანია გავიძახით, თბილისში ტრანსპორტის რეგულირება, აღრიცხვა და დაბეგვრა ვერ მოვახერხეთ, დედაქალაქს (შესაბამისად, ქვეყნის ფედერალურ ბიუჯეტს) მილიონობით ლარი ეკარგებაო!

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ ამ დღეებში წარმოდგენილი თბილისის ტრანსპორტის რეგულირების ახალი სისტემის პროექტის განხილვისას, ოღენ სამარშრუტო მიკროავტობუსების გარშემო არსებული პრობლემების ანალიზმა ცხადყო, რომ:

სადღეისოდ დედაქალაქში, თბილისის საკრებულოს 2001 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით, მოქმედებს 223 რეგულარული მარშრუტი 4441 მიკროავტობუსით. ყოველდღიურად ხაზზე უნდა გამოდიოდეს 3161 (დანარჩენი სარეზერვო-სათადარიგოა) მანქანა. სინამდვილეში, დაუზუსტებელი, არაოფიციალური მონაცემებით, ქალაქში რეგისტრირებულია 5000-ზე მეტი მიკროავტობუსი.

თითოეულ მიკროავტობუსს ჰყავს „ხაზის მეპატრონე“, რომელიც უსაფუძვლოდ, უკანონოდ განკარგავს ამ მიკროავტობუსებს.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მტკიცებით, სამარშრუტო მიკროავტობუსების ბიზნესი ჩვენი ჩრდილოვანი ეკონომიკის შემადგენელი (საკმაოდ სოლიდური!) ნაწილია და აღურიცხავი, არალეგალური შემოსავლები ყოველწლიურად მინიმუმ 10 მილიონ ლარს შეადგენს.

მართალია, ანტიკორუფციული კავშირის „ენპიქსის“ თავმჯდომარე გურამ ტუღუში ახალგაზრდა ეკონომისტებს არ ეთანხმება და სხვა ციფრებს ასახელებს, მაგრამ ამ სფეროში რომ კორუფცია ჰყვავის და სწორი აღრიცხვიანობის შემთხვევაში სახელმწიფოს, დედაქალაქს დიდი ხეირი ექნება, — არ უარყოფს.

ფაქტი ფაქტად რჩება, როგორც ჩვენს გაზეთშიც არაერთხელ წაგიკითხავთ, სამარშრუტო ხაზების მეპატრონეები როგორც მოეპრიანებათ ისე ჰყიდიან მას; ქუჩებში დადის არასტანდარტული, გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებანი; სამარშრუტო ტაქსებით ავტოპარკი ერთობ გადატვირთულია და ქალაქში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ქაოსურ მდგომარეობაშია; ხაზები, მარშრუტები ერთმანეთს იმეორებენ, თითქმის ყველა მარშრუტს სურს დედაქალაქის ცენტრში გავლა: რუსთავიდან გლდანში (და პირიქით!) მომავალი მიკროავტობუსიც კი რუსთაველის პროსპექტზე გადის! ქალაქის ინტერესებს არაფრად დაგიდევენ; თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობა კატასტროფულია, — ჰაერის გაბინძურება დასაშვებ ნორმებს 20-ჯერ (!) აღემატება.

ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის საქალაქო სამსახურის ახალმა უფროსმა ზურაბ ჩიკვილაძემ პროექტის განხილვისას დაადასტურა, რომ თბილისში მართლაც 5000-ზე მეტი „მარშრუტკა“ მოძრაობს. ის კი არა და, „ვარკეთილი-ლილოს“ მარშრუტზე, თურმე, ყოველდღიურად დადის 10-12 მანქანა, რომელიც არსად არ ყოფილა რეგისტრირებული და მოსაკრებელსაც წლობით არ იხდის!

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ „ხიშნიკებს“, ანუ ფარულად ხაზზე გამოსულ მანქანებს, ზურაბ ჩიკვილაძის მტკიცებით, რაც მათი მკაცრი შემოწმება და დაჯარიმება დაიწყეს, საგრძნობლად შემცირდა და ახლა, ყოველდღიურად 20-25 „ლევი“ მანქანა თუ იქნებაო ქალაქში.

შემოწმება და ჯარიმები კარგია, მაგრამ თუნდაც ის 20-25 მანქანა როგორ უნდა ბედავდეს ნებართვის გარეშე დედაქალაქში მოძრაობას?

ეს იმიტომ ხდება, რომ ყბადაღებულმა „კრიშებმა“, უზნეო და უსინდისო მფარველებმა ჩაიგდეს ხელში „მარშრუტკების“ მომგებიანი სფერო და წლების განმავლობაში შეეჩვივნენ „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ სინდრომით ცხოვრებას.

თითოეული „მარშრუტკა“, თურმე, დღეში მინიმუმ 10 ლარს უხდის „კრიშას“. საერთოდ კი, თვეში ერთ მანქანაზე გადასახადი შეადგენს 443 ლარს, წლის განმავლობაში კი — 5316 ლარს.

თუ ქალაქში მინიმუმ 5000 „მარშრუტკა“ დადის, საერთო გადასახადი 26,6 მილიონს აღწევს. ამიტომაც ამტკიცებენ ახალგაზრდა ეკონომისტები, რომ დედაქალაქი და ფედერალური ბიუჯეტი მინიმუმ 10 მილიონ ლარზე მეტს კარგავს.

* * *

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ შეიმუშავა სამარშრუტო ტაქსებით მგზავრთა რეგულარული გადაყვანის ნებართვის გაცემის ახალი დებულება, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის ამაღლებას, მცირე ბიზნესის განვითარებისთვის ხელშეწყობას, ნებართვის მაძიებელთა თანასწორუფლებიანობის დაცვას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სამარშრუტო მიკროავტობუსებით მგზავრთა რეგულარული გადაყვანის სისტემის გაუმჯობესებას, ამ სისტემის საჯაროობას და გამჭვირვალობას.

ნებართვა გაიცემა აუქციონის წესით, საჯაროდ. ნებართვის თითოეული მაძიებელი აუქციონში მონაწილეობის უფლებისთვის იხდის 50 ლარს. მსურველს შეუძლია ერთ სამარშრუტო ხაზზე რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უფლება მოიპოვოს. ასეთ შემთხვევაში მოსაკრებელიც „მარშრუტკების“ რაოდენობით განისაზღვრება.

თითოეულ სანებართვო სახეობაზე შეთავაზებული ფასის ოდენობა, ჯერჯერობით, განსაზღვრულია 6000 ლარით. ზოგიერთ სპეციალისტს ეს თანხა ებევრება, რადგანაც, თურმე, რამდენიმე სამარშრუტო ხაზი (დაახლოებით 12) თბილისში დღეს წაგებაზეც კი მუშაობს. ასეთ ხაზებს, თურმე, „ნულოვანი“ ჰქვია.

მართლაც და რას არ გაიგებს კაცი, — თუ წაგებაზეა, რატომ მუშაობს, თვითონაც რატომ იშლის ნერვებს და ხალხსაც რატომ წამლავს?

იქნებ, ეს იმიტომაც ხდება, რომ თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არნახულმა ქაოსმა მოიცვა, ხაზები ერთმანეთს იმეორებენ და ამდენი „მარშრუტკა“ ნამდვილად არ ეტევა ვიწრო, მოუწესრიგებელ თბილისის ქუჩებში?!

რა თქმა უნდა, ეს ასეა. როგორც ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ვამუშავებთ სატრანსპორტო სქემას, რომ ზედმეტი მიკროავტობუსები შევამციროთ, მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიები თანაბრად დავტვირთოთ, რამდენიმე მარშრუტი ცენტრიდან სანაპიროზე გადავიტანოთ.

აუქციონზე გაიყიდება არა ხაზები, არამედ თითოეული ადგილი ამ ხაზზე, — თქვა ბოლოს ზურაბ ჭიაბერაშვილმა, — ჩვენ ცალკეულ ფირმებზე არ გავცემთ ნებართვას, რომ მერე იმათ ცალკე ვაჭრობა და აღებმიცემობა არ გააჩაღონ. აუქციონის უმთავრესი მიზანია კრიმინალები, ეგრეთ წოდებული „კრიშები“ ჩამოვაშოროთ ამ სფეროს. აუქციონში გამარჯვებულს ყველა პირობას შევუქმნით, რომ კრიმინალებმა არ შეაწუხონ... გამარჯვებიდან ორი წლის განმავლობაში მას ყოველგვარი შეღავათი ექნება, მათ შორის მოსაკრებლის გადასახადშიც.



რაც შეეხება აუქციონის საწყის ფასს, კომპეტენტური კომისია მას ცალკეულ სამარშრუტო ხაზზე შემოსავლების საშუალო არითმეტიკულით განსაზღვრავს...

**დამეთანხმებით, აუქციონი ფრიად საქმიანი და ქალაქისთვის სისხლხორცეული პრობლემის გადაწყვეტის ცდაა. რაც უფრო მალე განხორციელდება, მით უკეთესი. ჩვენი გაზეთის რედაქცია სთხოვს სატრანსპორტო დარგის სპეციალისტებს ოპერატიულად გამოგვეხმაურონ და თავიანთი კონკრეტული წინადადებები შემოგვთავაზონ. შეგიძლიათ დედაქალაქის მერიას და ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის საქალაქო სამსახურსაც მიმართოთ.**

**სპარტაკ ქოზულია.**

**სოფელი და ფინანსები**

# ბანკმა ბევრ მეწარმეს ხელი გაუმართა

**დღიდან დაარსებისა, „აგრობიზნეს ბანკი“ აგროსექტორის დაფინანსებაზეა ორიენტირებული. ბანკში განხორციელებული სტრუქტურული და მმართველობითი სისტემის ცვლილებების მიუხედავად, დაფინანსების ძირითადი პრიორიტეტი არ შეცვლილა. ბანკი 2000 წელს გაიხსნა. დღეისათვის კი მას უკვე 11 სრულყოფილად მოქმედი სერვის-ცენტრი გააჩნია. რომელთა საქმიანობის არეალი ფარავს თითქმის მთელ საქართველოს.**

**„აგრობიზნეს ბანკიდან“ აღებულმა სესხებმა ბევრ ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანს საკუთარი ბიზნესის გაფართოების საშუალება მისცა.**

**ბანკის დირექტორი, ბატონი გრიგოლ გელაშვილი, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერია.**




— ჩვენი მუშაობის ამოსავალი კარგად გამართული მეურნეობა და ჩამოყალიბებული მეწარმე სუბიექტია. საქართველოში მიღებული ტრადიციით, თითქმის ყველა ბანკი არგუმენტირებულ ბიზნეს-გეგმას ითხოვს, რომლის შედგენაც ბევრისთვის საკმაოდ დიდი თავსატეხია. ამ შემთხვევაში კი ბანკის წარმომადგენელი ჯერ ადგილზე სწავლობს მეწარმის ეკონომიკურ პოტენციალს, მეურნეობას და პოზიტიური სურათის არსებობის შემთხვევაში მეწარმესთან ერთად მუშაობს ბიზნეს-გეგმის შედგენაზე, — ამბობს ბატონი გრიგოლი.

ჩვენ მსესხებლებს ურთიერთპარტნიორობის ჩამოყალიბებაშიც ვეხმარებით. მაგალითად, მევენახეს ღვინის ქარხანასთან ვაკავშირებთ, ღვინის ქარხანას კი — პირიქით. მსგავსი თანამშრომლობის ხელშეწყობა ჩვენს კლიენტებს შორის სასარგებლოა როგორც მათი საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდის კუთხით, აგრეთვე მათი ფინანსური შესაძლებლობების გაფართოებითაც.

***— თუკი ასეთი ხელშეწყობაა, რითი იყო გამოწვეული წლევანდელი აჟიოტაჟი კახეთში, რატომ არ იბარებდნენ ყურძენს და ხორბალს გლეხებისგან?***

— ეს საკმაოდ რთული პრობლემაა. თუმცა ხშირად ინფორმაციის ნაკლებობაც ქმნის გაუგებრობას. ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად ვეცადეთ, რათა ხელი შეგვეწყო ამ პროცესისთვის. ბანკიდან ნახევარ მილიონ ლარზე მეტით დაფინანსდა 5 ღვინის ქარხანა, რომელთაც ყურძნის შესყიდვა განახორციელეს. გარდა ამისა, ამ სეზონზე ერთი მილიონ ლარზე მეტი გამოიყო იმ გადამამუშავებელი საწარმოებისთვის, რომლებიც გლეხებისგან ხილის შესყიდვას აწარმოებენ. ქარხნებმა შეძლეს 15000 ტონა ხილის მიღება შემდგომი გადამუშავებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბანკის საკრედიტო პორტფელი მთლიანად 7 მილიონ ლარს შეადგენს, საშუალო საპროცენტო განაკვეთი 18 პროცენტია, ვადა 1-5 წლამდე პერიოდით განისაზღვრება. სადეპოზიტო განაკვეთი კი 12 პროცენტია, წლეულს დაახლოებით 1600 სესხი გაიცა, ეს იმას ნიშნავს, რომ აგროსექტორში დასაქმებულ 1600 ადამიანს საქმიანობის გაუმჯობესების საშუალება მიეცა.

ბანკის მომავალი განვითარების სტიმულირებისთვის აუცილებელია დაფინანსების სეგმენტის გაფართოება და საბანკო პროდუქტის გამრავალფეროვნება.

სოფლის მეურნეობა რისკიან დარგად არის მიჩნეული, რადგან შეიძლება სტიქიამ, ან სხვა ბუნებრივმა მოვლენამ მეწარმე სუბიექტი აზარალოს. ჩვენ ამისთვისაც მზად ვართ და ვაფინანსებთ რეგიონულ ეკონომიკასთან დაკავშირებულ ისეთ პროექტებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, წარმატებული იქნება, სხვანაირად მუშაობასაც აზრი არ ექნებოდა.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს რეგიონული ინფრასტრუქტურის და აგროსექტორში ბიზნეს პროექტებზე სესხების გაცემა კვლავ მომგებიანი იქნება, რადგან ბანკის განვითარება რეგიონული ეკონომიკის განვითარების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს ორი პროცესი პარალელურად მიმდინარეობს და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. რაიონულ ცენტრებში თუ სოფლად მოქმედი მაღაზიები, აფთიაქები, საცხობები და ა.შ. ჩვენი კლიენტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ასეთია ბანკის დირექტორის არგუმენტაცია.

**აგროსექტორში სესხებზე კვლავაც დიდი მოთხოვნა იქნება, რადგან ეს დარგი მწვავედ განიცდის ფინანსური სახსრების ნაკლებობას იმ მაღალი რისკის გამო, რომელიც ამ სექტორს ახასიათებს.**

**ბოლოს მინდა შეგახსენოთ, რომ ბანკის კარი ყველა მეწარმისთვის ღიაა.**

**ნაზი იმნაიშვილი.**

**რეპორტაჟი**

# ორდღიანი ხმაური აჭარის უმაღლეს საბჭოში

**(მეორე გვერდიდან)**

უმრავლესობის ლიდერის კახა მიქელაძის შეკითხვას, რატომ ინიშნება ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე კადრები თბილისის მითითებით, ან თბილისიდანო, კობა ხაბაზისა და ალექსანდრე ბეჟანიძის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ეს იყო და, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მერაბ ქიძინიძემ ახლახან ავიაკომპანია „აჭარის“ ორი თვითმფრინავის გაყიდვის ფაქტი გაიხსენა.

ალექსანდრე ბეჟანიძე, როგორც ჩანს, ელოდა დეპუტატების შეტევის მიმართულებას და მომზადებული შეხვდა ამ შეკითხვას. განმარტა, რომ ყველაფერზე ტენდერის გამოცხადება არ ხერხდება, რადგან მთავრობას ფორს-მაჟორის პირობებში უხდება მუშაობა. რაც შეეხება მილიონებად შეფასებული ორი „იაკის“ ტიპის თვითმფრინავის კერძო ავიაკომპანი „აირზენასათვის“ 99 ათას ლარად მიყიდვას, განმარტა: რადგან ტენდერში მონაწილე სხვა კომპანიებმა ვერ დააკმაყოფილეს პირობები, ისინი „აირზენას“ მიეყიდა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით.

აჭარის უმაღლეს საბჭოში ეს განცხადება რომ კეთდებოდა, ბათუმის აეროპორტში აქაური მუშა-მოსამსახურეების საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. შეკრებილები თვითმფრინავების გაყიდვას აპროტესტებდნენ და საქართველოს პრეზიდენტს წაყვანილი ორი თვითმფრინავიდან ერთის დაბრუნებას თხოვდნენ. უმაღლეს საბჭოში დასმული შეკითხვა, ვინ ლობირებდა ამ შემთხვევაში „აირზენას“ და ვინ მიაწოდა პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაწყვეტილების პროექტიო, პასუხგაუცემელი დარჩა.

ალექსანდრე ბეჟანიძე და კობა ხაბაზი დეპუტატებს ამშვიდებდნენ „აირზენამ“ ისეთი ხელშეკრულება გააფორმა ჩვენთან, ბათუმის აეროპორტს საერთაშორისო სტატუსიც ექნება და რეისები მარტო თბილისში კი არა, კვირაში ორჯერ მოსკოვშიც შესრულდებაო. ამის პასუხად ერთმა დეპუტატმა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემების გაყიდვის ფაქტები გაიხსენა, როცა ქართულმა მხარემ ინგლისურ ფირმასთან გაფორმებული ხელშეკრულებით მას საექსპლუატაციოდ გემი გადასცა, ხოლო ინგლისურმა ფირმამ ამის სანაცვლოდ თავის წილად... ინტელექტი ჩადო. მერე ის ფირმა გაკოტრდა და გემიც — ფაფუ! ღმერთმა ქნას, „აირზენას“ ხელი მოემართოს და ბათუმელთათვის მიცემული პირობა შეესრულებინოსო.

იმ დღეს ყველაზე იოლად აჭარის ენერგოკომპანიის ხელმძღვანელი რუსლან ხოროიშვილი გადარჩა, რადგან რასაც მას ედავებოდნენ — მაღალსართულიანი სახლების წყლით მომარაგების ტუმბოებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას, — მისი ბრალი არ ყოფილა. თურმე ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არც მოსახლეობა იხდის და არც მერია. ამას ისიც ემატება, რომ ამ ტუმბოების ელექტროკვებაზე არაერთი მოსახლეა ჩართული, რომელიც, რა თქმა უნდა, დენს იპარავს და ერთ თეთრსაც არ იხდის. ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატის დავით ბაციკაძის აქტიურობამ ის შედეგი გამოიღო, რომ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატებს პირობა მისცა, ელექტროენერგიის ამ დანახარჯს ან აჭარის ბიუჯეტი დაფარავს, ან ქალაქ ბათუმისაო.

მთავარ ორომტრიალში მაინც გიორგი პაპუაშვილი აღმოჩნდა. დეპუტატები მის მოლოდინში რომ იყვნენ, ბატონი გიორგი, თურმე, იქ მისვლას არც აპირებდა. საღამოს აჭარის ტელევიზიით გამოსვლისას გიორგი პაპუაშვილმა განაცხადა, ჩემთვის ამის თაობაზე წერილობითი შეტყობინება არ გაუგზავნიათ და ამიტომაც არ მივედიო. არადა, აჭარის პარლამენტი დიდი მორიდებით აცხადებდა, რომ შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს დაკითხვაზე კი არ იწვევდნენ, არამედ დეპუტატებს აინტერესებდათ ინფორმაცია ხულოს და შუახევის გამგებლების დაპატიმრების თაობაზე. მით უმეტეს, რომ 18 დეპუტატის ხელმოწერილ განცხადებაზე, დაკავებულების თავდებში გამოშვების შესახებ, სამართალდამცავებისგან დღემდე არ მიუღიათ პასუხი.

გიორგი პაპუაშვილი არც მეორე დღეს მივიდა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან შესახვედრად. მას ამაოდ ელოდა დეპუტატთა და ჟურნალისტთა კორპუსი სხდომათა დარბაზში. ერთსაათიანი უიმედო ლოდინის შემდეგ უმრავლესობის ლიდერმა კახა მიქელაძემ და დეპუტატმა და კომისიის თავმჯდომარემ ეკა ხერხეულიძემ მკვეთრი განცხადებები გააკეთეს.

იმ დღეს, რომ იტყვიან, აჭარის პარლამენტში მგელი და ცხვარი ერთად ძოვდნენ: რესპუბლიკელი გიორგი მასალკინის გამოსვლის პათოსი უმრავლესობისას ემთხვეოდა: მთავარი მიზეზი იმისა, რაც ხდება, არის საქართველოს პარლამენტის დადგენილება აჭარის სტატუსთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც პაპუაშვილს კი არა, მის დამლაგებელსაც ვერ მოვთხოვთ პასუხს. პაპუაშვილი ჩვენგან ითხოვს წერილობით მიმართვას, რომ მოვიდეს. ეს არაა რეგლამენტით გათვალისწინებული. პაპუაშვილის ქმედებას რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა ახლავს. საქართველოს არც ერთ რეგიონში არ დაუპატიმრებიათ ორი გამგებელი. თუ ორ დღეში იგი კეთილ ნებას არ გამოიჩენს და ჩვენთან არ ითანამშრომლებს, ვფიქრობ, ოპოზიცია და პოზიცია გამოვნახავთ საერთო ენას და თხოვნით მივმართავთ პრეზიდენტს, რათა იგი თანამდებობიდან გადააყენოსო.

მასალკინის ამ განცხადებამ უმრავლესობაც დააკმაყოფილა და კახა მიქელაძემ განაცხადა, უმჯობესი იქნება შემოვიღოთ სამთავრობო საათი მსგავსად საქართველოს პარლამენტისა, სადაც მთავრობის წევრებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ინფორმაციებს მოვისმენთო. დეპუტატებმა, აგრეთვე, დააყენეს საკითხი აჭარის კონსტიტუციაში რიგი ცვლილებებისა და სხვა აქტების გადახედვის შესახებ. მათი სურვილი იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების გაზრდა.

გიორგი პაპუაშვილის წინააღმდეგ შეტევები მარტო იმის ბრალი არაა, აჭარაში კრიმინოგენური ვითარება რომ გაუარესდა. ამ ეტაპზე დეპუტატების გაღიზიანებას იწვევს ის, რომ პაპუაშვილი თავის ქმედებას აჭარის ხელისუფლებას არ უთანხმებს და, როგორც აცხადებს, მოქმედებს მხოლოდ კანონის მოთხოვნის თანახმად. აჭარის პირველი პოლიცმეისტერი პოზიციის დათმობას რომ არ აპირებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მაშინ, როცა გამგებლების დაკავებას ედავებიან და ამით სიტუაციის დაძაბვის ინიციატორად მოიხსენიებენ, მან ხეტყის უკანონო ბიზნესში მონაწილე სხვა პირებიც დააპატიმრა: ხულოსა და შუახევის რაიონების სატყეო მეურნეობების დირექტორები თემურ ბოლქვაძე და შაქრო ტაკიძე, ხულოს რაიონის აგროსატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი გოჩა აბაშიძე, ხულოს რაიონის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ღორჯომისა და ზეგანის სატყეო უბნის უფროსები ბადრი აბაშიძე და ბადრი ბოლქვაძე, შუახევის რაიონის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ოლადაურის სატყეო უბნის უფროსი ჯემალ მახარაძე, ამავე უბნის უფროსის თანაშემწე ვაჟა აბაშიძე, შუახევის რაიონის აგროსატყეო მეურნეობის ოლადაურის სატყეო უბნის უფროსი შოთა სურმანიძე.

საინტერესოა, რა მოჰყვება ამ ახალ დაპატიმრებებს. ისევ აქციები, დეპუტატების ახალი შეტევა პაპუაშვილსა და მის უწყებაზე? ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს საკითხი: კანონიერად მოქმედებს პაპუაშვილი თუ უკანონოდ?

თუ ის დაპატიმრებები კანონიერად მოხდა, რას ვედავებით რეგიონის მთავარ პოლიციელს? იმას, რომ მან ეს დაპატიმრებები „პარლამენტს არ შეუთანხმა“ (წესით, რატომ უნდა შეეთანხმებინა?), ხოლო თუ — უკანონოდ, მაშინ მართლაც უნდა გააძროს ტყავი პარლამენტმა.

ასე რომ, წინ საინტერესო ამბები გველის.

**ამირან კილურაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**ინფორმაცია**

ახალი კონცეფცია

**ხელისუფლება სამუზეუმო სისტემის ძირეულ და კარდინალურ რეფორმას იწყებს**

**როგორც** მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გახდა ცნობილი, ამ რეფორმას კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, სახელმწიფო მუზეუმის ახალი ხელმძღვანელი დავით ლორთქიფანიძე უხელმძღვანელებს.

ახალი კონცეფციის თანახმად, შეიქმნება ერთიანი მართვის სისტემა, ანუ ეროვნული მუზეუმი, რომელშიც ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მუზეუმები გაერთიანდებიან. ლორთქიფანიძის თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ საქართველოს მუზეუმები კონკურენტუნარიან ეკონომიკურ პროდუქტთან ერთად, ჩვენი ქვეყნის სახედ და სიმბოლოდ იქცნენ.



ეროვნულ მუზეუმებს, კონცეფციის თანახმად, მიეცემათ კომერციული საქმიანობის უფლებაც. გარდა ამისა, მუზეუმების შემდგომ განვითარებაზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა სახელმწიფოსაც დაეკისრება, ანუ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ დააფინანსებს მუზეუმებს და მათ კეთილმოწყობაზე იზრუნებს. განისაზღვრება პრიორიტეტები და შეიქმნება მჭიდრო კავშირი ეროვნულ მუზეუმებსა და განათლების სამინისტროსთან ერთად.

როგორც გუშინდელ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მაგალითად, ნიკო ფიროსმანის სახელობის ახალი მუზეუმის სრულ დაფინანსებას თავის თავზე იღებს მოსკოვში მოღვაწე ქართველი ხელოვანი ზურაბ წერეთელი.

SIC!

**კაბელი მოიპარეს**

**გუშინწინ** ღამით დაუდგენელმა პირებმა 110-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის „კენისი 4“-ის 100 მეტრი კაბელი მოიპარეს.

როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანია „თელასში“ განუცხადეს, ძაბვის ქვეშ მყოფი გადამცემი ხაზი ქურდებმა დაამოკლეს, რამაც დენის გამორთვა გამოიწვია. ამან კი, შემთხვევის ადგილზე „თელასის“ სპეციალისტების მისვლამდე, ქურდებს კაბელის მოპარვის შესაძლებლობა მისცა.

მომხდარმა ფაქტმა სისტემაში სიხშირის რყევა გამოიწვია და ავტომატურად გამორთო ბაგებისა და მთაწმინდის ქვესადგურები.

„თელასის“ ხელმძღვანელები ქურდობის ფაქტს დივერსიის კვალიფიკაციას ვერ ანიჭებენ და აცხადებენ, რომ ამის დასადგენად საქმეს სამართალდამცველ ორგანოებს გადასცემენ. ამჟამად კომპანიისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა დგინდება.

სუბსიდია

**კახეთში რთველის პრობლემა ამოიწურება**

**ღვინის** ქარხნები თეთრი ყურძნის შესყიდვისთვის სუბსიდიას ამ კვირაში სრულად მიიღებენ.

როგორც „ინტერ-პრესს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, თეთრი ყურძნის შესასყიდად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდია — 1 005 626 ლარი 7 ქარხანას გაუნაწილდება. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში ამ თანხებს ღვინის ქარხნები გლეხებს დაურიგებენ.

— გლეხებისთვის თანხების დარიგების შემდეგ კახეთში რთველის პრობლემა მთლიანად ამოწურული იქნება, — განაცხადეს სამინისტროში.

უმაღლესი სასწავლებელი

**ინსტიტუციონალურ აკრედიტაციას გაივლიან**

**განათლების** მინისტრის ალექსანდრე ლომაიას განცხადებით, 2005 წლისთვის საქართველოში არსებული ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებელი ინსტიტუციონალურ აკრედიტაციას გაივლის.

— თუ სასწავლებელი აკრედიტაციას ვერ გაივლის, განათლების სამინისტრო სასამართლოს მიმართავს და სასწავლო დაწესებულებას ლიცენზია ჩამოერთმევა. სახელმწიფო სიგნალს აძლევს უმაღლეს სასწავლებლებს და უცხადებს, რომ თუ ისინი აკრედიტაციას არ გაივლიან, სახელმწიფო არ ცნობს მათ მიერ გაცემულ დიპლომებს, — აღნიშნა ლომაიამ.

მისი თქმით, თუ სტუდენტი მეორე კურსზეა კერძო უმაღლეს სას[illegible]ლებელში და მისმა სასწავლე[illegible]მა აკრედიტაცია ვერ გაიარა, [illegible]მიეცემა შესაძლებლობა ბაკა[illegible]რის ხარისხი სხვა სასწავლე[illegible]ში დაიცვას.

[illegible]ნისტრის ინფორმაციით, დღეს [illegible]ართველოში 254 უმაღლესი სას[illegible]ლებელია, აქედან 26 სახელმ[illegible] დაწესებულებაა, ხოლო 18 მო[illegible]ლიალი.

**ინტერ-პრესი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 244, ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 2004 წელი.

სახელოვანი მშობლები

# აივნიანი ქალაქის ტრფიალი



მანანა გაბაშვილი ჩემი თაობის ღირსეული ქალბატონია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ასპირანტურა, განაგრძო სამეცნიერო მოღვაწეობა, ოთხმოციანი წლების ბოლოს – ეროვნული მოძრაობის აზვირთებისას – აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში, გახდა პირველი მოწვევის პარლამენტის წევრი, მისი ხელმოწერაც ამშვენებს ზვიად გამსახურდიას მიერ გამოცხადებულ დამოუკიდებლობის აქტს, მერე, რა გასაკვირია, შევარდნაძის რეჟიმმა პოლიტიკას ჩამოაცილა და, ამ ხნის განმავლობაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწეობს, კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტში და, როგორც იტყვიან, უკეთეს დღეთა იმედითაა.

ჩვენ არც ისე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და, შეიძლება, ასე გაგრძელებულიყო კიდეც, რომ არა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი ვრცელი რომანის – „აივნიანი ქალაქის“ – ავტორი ნიკოლოზ გაბაონი, რომელიც აღმოჩნდა ფსევდონიმი მანანა გაბაშვილის მამის – დიდად პატივცემული პროფესორის – ვალერიან გაბაშვილისა.

კი ამბობდნენ იმხანად, გაბაონი ფსევდონიმია უნივერსიტეტის პროფესორისაო, მაგრამ, აღარ ჩავძიებივარ. (თუმცა კი რომანი დიდ ინტერესს იწვევდა) და აი, ახლახან, ერთმა ჩვენმა კოლეგამ საუბარში ახსენა მანანა გაბაშვილი, მერე ისიც თქვა, საოცარი მამა ჰყავდა, თუ გახსოვთ რომანი „აივნიანი ქალაქი“, მისი ავტორი – გაბაონი – მანანას მამა იყო, ვალერიან გაბაშვილიო.

რომანიც მახსოვდა და მისი ავტორის ფსევდონიმიც, ჯერ გამიკვირდა, მერე გამიხარდა, დავურეკავ მანანას და ვისაუბრებთ ფსევდონიმსამოფარებული მამის შესახებ-მეთქი.

უარი არ უთქვამს. ის კი არა, „აივნიანი ქალაქის“ ახალი გამოცემა და პროფესორ ვალერიან გაბაშვილის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული მისახსოვრა და საინტერესოდაც მესაუბრა.

***– მე ვიცოდი, მანანა, ძვირფასო, რომ მამათქვენი ვალერიან გაბაშვილი იყო ცნობილი ორიენტალისტი, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა სკოლის ფუძემდებელი, დიდად განათლებული კაცი, მაგრამ თუ მწერლობდა კიდეც, ეს არ მეგონა. რომანი „აივნიანი ქალაქი“, სიმართლე გითხრათ, თავის დროზე დიდი ინტერესით წავიკითხე, ძველი თბილისი, ჩემი აზრით, ასე ცნობილ ქართველ მწერლებსაც არ დაუხატავთ (თუმცა, არავინ გამოხმაურებია, ბატონ აკაკი ბაქრაძის გარდა). ჰოდა, რატომ დასჭირდა ავტორს, რომ ფსევდონიმს ამოფარებოდა, სახელიც და გვარიც შეეცვალა?***

– ამ რომანს, მართლაც, თითქმის არავინ გამოხმაურებია, რადგან იდეოლოგიურად მიუღებელი იყო საბჭოთა სისტემისათვის. არადა, დამეთანხმებით, რომ იგი საინტერესო, მრავალპლანიანი ნაწარმოებია XIX საუკუნის პირველ ნახევრის კავკასიის პრობლემებით (დღესაც რომ აქტუალურია), პერსონაჟთა და ისტორიულ პირთა მდიდარი გალერეით (გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, გიორგი ერისთავი, ბარონი როზენი, მიხეილ ვორონცოვი და სხვები) სავსე. მამამ „აივნიანი ქალაქი“ სრულიად ახალგაზრდამ დაწერა, ფსევდონიმის სახელი – ნიკოლოზი თავისი მამის – XX საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური მოვლენების აქტიური მონაწილის, 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრის, ნიკოლოზ გაბაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად აიღო, ხოლო გვარი – გაბაონი გაბაშვილთა გვარის ერთ-ერთი ფორმაა, რაც კარგად იცოდნენ ამ გვარის წარმომადგენლებმა, მათ შორის, ბესიკ გაბაშვილმაც. პოეტი გაბაონს, გაბაონელსა და გაბაონისძესაც იყენებდა საგვარეულოს ამ შტოს სრულ ფორმასთან – იობიან-გაბაშვილთან ერთად, რომელსაც ვალერიან გაბაშვილიც ეკუთვნოდა და რაც ბიბლიურ წარმოშობას უკავშირდება, იობის შთამომავლებს პალესტინის გაბაონიდან.

***– ჭეშმარიტად დიდი გვარია... იქნებ გვიამბოთ თქვენს ოჯახზე, რომელზეც, როგორც დავინახე, ჩვენი ქვეყნის ბედიცაა ასახული.***

– მამაჩემი დაბადებულია ციმბირში, სადაც გადასახლებული იყო პაპაჩემი – პოლიტპატიმარი ნიკოლოზ გაბაშვილი. იქ მას ჩააკითხა 18 წლის მეუღლემ (მასთან ერთად სხვა ქართველი ქალებიც იყვნენ, რომლებიც ასევე გადასახლებულ მეუღლეებთან მიდიოდნენ)...



ვალერიან გაბაშვილი ოჯახთან ერთად.

მამაჩემი რომ დაბადებულა, მშობლებს პატარა ქაღალდზე სამი სახელი დაუწერიათ და კენჭის ასაღებად თასზე დაუდვიათ. ეს იყო გიორგი – ქართველების უპირველესი და უსაყვარლესი სახელი, შოთა რუსთაველისა და ვალერიანი – ცნობილი მსახიობის ვალერიან გუნიას პატივსაცემად, რომელიც, ამავე დროს, დიდი საზოგადო და ეროვნული მოღვაწეც იყო. ბებია ელენეს თასიდან დაკეცილი ქაღალდი აუღია და გაუშლია, მასზე სახელი ვალერიანი იყო აღბეჭდილი. ასე რომ, მამაჩემის მშობლების სამივე ვნენ მისი რომანის პროტოტიპები... ასეთი იყო მამაჩემის ბავშვობისა და ჭაბუკობის ატმოსფერო...

იგი მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული, სკოლაშივე კალამს მოჰკიდა ხელი და ძველი თბილისის მასშტაბური ტილოს შექმნა გადაწყვიტა. „აივნიანი ქალაქის“ პირველ ნაწერებს ქართულის მასწავლებელს, ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორს, პეტრე მირიანაშვილს უკითხავდა. ლამაზ, წარმოსადეგ ჭაბუკს თეატრისკენაც მიუწევდა გული (ის ხომ დიდი ეროვნული ტრიბუნა იყო). უმალ სურვილი არ იყო შემთხვევითი, მათი ოჯახი უაღრესად ეროვნული და ტრადიციული, ტიპიური იყო მაშინდელი საქართველოსათვის. პატიოსნება, შრომა, ცოდნის დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდათ, ცხოვრების ამაოებაზე მაღლა იდგნენ და წუთისოფელს ქონების დაგროვებით არ იმწარებდნენ, სიცოცხლით ტკბობა იცოდნენ, დარდი არ აკლდათ და მას ლხინით იქარვებდნენ. ერთი დიდი, დახეული ხელსახოცი ჰქონდათ, ხუმრობით „ხამფერას ნიფხავს“ რომ ეძახდნენ, ქეიფის ბოლოს ვის ჯიბეშიც აღმოჩნდებოდა, შემდეგში იმასთან სტუმრობდნენ... (1942 წელს, როდესაც გერმანელები კავკასიას მოადგნენ, კვლავ დააპატიმრეს, შუა აზიაში, ყარაგანდაში გადაასახლეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ამ წესიერი, წიგნიერი და მშრომელი ქართველის ერთადერთი დანაშაული სამშობლოს სიყვარული იყო)... ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ დარბაისელი, წიგნის მოყვარული, ზნითა და ჩვეულებით გამორჩეული ძველი თბილისელი მოქალაქენი, მათთან ერთად ხშირად იყო სოსო გრიშაშვილიც... ეს იყო ძველი თბილისი, რომელსაც შემდგომ ასე ოსტატურად აღწერს მამაჩემი „აივნიან ქალაქში“. მაშინ ის პატარა ბიჭი იყო და ხარბად აკვირდებოდა ირგვლივ ყველაფერს, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მიიღო კოტე მარჯანიშვილმა თავის დასში, რომელიც ქუთაისიდან თბილისში ახალ გადმოსული იყო. რამდენიმე საინტერესო სახეც შექმნა, მაგრამ თეატრიდან მალე წამოვიდა და მეცნიერების გზას დაადგა. ეს კი ბატონ ივანე ჯავახიშვილთან შეხვედრამ გადაწყვიტა. მამას დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი, რომელიც შემდგომ ძალზე წაადგა ისტორიკოსის მასშტაბურსა და ფართო ხედვაში, დიდსა და ზოგად განათლებასა და ენების ცოდნასთან ერთად. ის ბედის განგებით, ივანე ჯავახიშვილის უკანასკნელი ასპირანტიც აღმოჩნდა, რომელსაც მასწავლებლის ნათელი ხსოვნა და მადლი ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა.

***– ბატონი ვალერიანის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ საიუბილეო კრებულში ქართველი მეცნიერები გულითადად საუბრობენ მის ღვაწლსა და დამსახურებაზე...***

– ცნობილია, რომ მან შექმნა საერთაშორისო რეზონანსის მქონე ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის საინტერესო სკოლა, დატოვა დიდი სამეცნიერო მემკვიდრეობა, გამოზარდა მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. რიგითი ლექციაც კი მისთვის უდიდესი მოვლენა იყო, რისთვისაც ადრიანად დგებოდა და ჩანდა, როგორი შინაგანი მღელვარებითა და სერიოზულობით ემზადებოდა... სამეცნიერო წრეებში გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე, რომელიც ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის სერგი მაკალათიას ქალიშვილი იყო. მეუღლის ბიძეები კი – ლადო და ვახტანგ კოტეტიშვილები – საზოგადო მოღვაწენი, მკვლევარნი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები. ასე იკვრებოდა ოჯახთა ის წრე, რომლებიც სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, ბურჯად ედგნენ ქვეყანას და თაობიდან თაობას ჭეშმარიტ ისტორიასთან ერთად, გადასცემდნენ ხსოვნას საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

***– ახლა აღარ მიკვირს, ქალბატონო მანანა, რომ თქვენც – ასეთი ოჯახების შთამომავალი – საქართველოში ამ თხუთმეტი წლის წინათ განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყავით.***

– მეც და ჩემი ძმაც – ნოდარ გაბაშვილი... იგი ზვიად გამსახურდიას მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, და ხელისუფლებაში ყოფნისას, მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო. ნოდარი ამჟამად იტალიაშია და, სხვათა შორის, აღმოჩნდა სულხან-საბას შემდეგ პირველი ქართველი, ვინც ოფიციალურად შეხვდა რომის პაპს.

***– მსმენია, რომ იგი არის თავისი თაობის ერთ-ერთი უგანათლებულესი პიროვნება, პოლიგლოტი, აღმოსავლური და ევროპული ენების მცოდნე...***

– რომში გამოვიდა მისი წიგნები – „კავკასია და იუგოსლავია“, „ვატიკანისა და საქართველოს ურთიერთობა“. გარდა ამისა, მრავალი საინტერესო და საჭირო სტატიის ავტორია საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ამჟამად გამოსაცემად ამზადებს წიგნს, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლასა და მას შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ეძღვნება. ყველა ეს წიგნი საქართველოს ახალ ისტორიას ეხება, განიხილება საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში და მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავს. მათი საქართველოში გამოცემა დიდად წაადგებოდა ქართულ საქმეს, ქართულ პოლიტიკას, დიპლომატიას, საზოგადოებისთვისაც, მეტადრე, ახალგაზრდებისთვის, საინტერესო იქნებოდა...

***– ერთი მითხარით, ამისქე რომანის ასე შესანიშნავად გამოცემა მარტო მოახერხეთ?***

– თუ ეს წიგნი გამოვიდა, ამაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თბილისის ყოფილ პრემიერს გია შერაძეს, რომელმაც შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა წიგნის მოყვარულებს, საერთოდ, დიდი ამაგი დასდო ვალერიან გაბაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის წარმოჩინებას. იგი მხარში ედგა ყოველგვარ სასიკეთო წამოწყებას მეცნიერებისა თუ კულტურის სფეროში, რაც მომავალში კიდევ უფრო აღინიშნება და დაფასდება...

თუ მშვიდობა იქნა, ძალიან მინდა დავიწყო ჩემი ბაბუის – სერგი მაკალათიას შრომების გამოცემა და წელს I ტომი გამოვცე...

***– კიდევ ერთ კარგს საქმეს გააკეთებთ...***

– მოვალე ვარ.

* * *

ერთ რამეზე მაინც მწყდება გულიო, მანანამ: „აივნიანი ქალაქი“ შესანიშნავი მასალაა მრავალსერიიანი ფილმისთვის, რომელიც ძველი თბილისის მხატვრული მატიანე იქნებოდა მომავალი თაობებისთვისო. სხვათა შორის, თავის დროზე, ერთი ცნობილი ქართველი კინორეჟისორი დაინტერესდა რომანით, მაგრამ იდეა იდეად დარჩაო. სადღა აქვს დღეს ქართულ კინოს სერიალების გადაღების თავი, მაგრამ თუ უცხოეთიც ჩაერთვება (ვთქვათ, საფრანგეთი), მართლაც საინტერესო ფილმი გამოვიდოდაო.

შეიძლება, რატომაც არა. თუმცა, იქნებ მოხდეს სასწაული, სულაც, ჩვენთან გამოინახოს სახსრები და ავამეტყველოთ კინოენაზე ეს საოცრად კოლორიტული და ეპოქის სუნთქვით გაჟღენთილი ნაწარმოები...

ხვალ კი – „თბილისობის“ პირველ დღეს – ვისაც ძველი თბილისი გიყვართ, 5 საათზე შეგიძლიათ მიბრძანდეთ კაფე „პარნასში“ „აივნიანი ქალაქის“ პრეზენტაცია-გაყიდვაზე. თან 10 ლარიც იქონიეთ... წესით, არ უნდა გეძვიროთ, რადგან თვითღირებულება ამ საუცხოოდ გამოცემული წიგნისა, გაცილებით მეტია. სამაგიეროდ, თქვენ გელით ტკბობა ძველი თბილისის სურათებით, რაც ასე გვენატრება დღეს – კომპიუტერისა და ინტერნეტის ეპოქაში მორიალე ადამიანებს.

ჩაათავებთ რომანს და, ზოგს, იქნებ, შოთა ნიშნიანიძის ძველი თბილისისადმი მიძღვნილი სტრიქონებიც გაგახსენდეთ: **„ეს ფანჯრები, აივნები, თარები და საზებია, ეს ჩუქურთმა რიკულები, თითქოს მუხამბაზებია“.**

რა ვიცი, მე ასე მომივიდა.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

ინფორმაცია

<u>ინციდენტი</u>

**აფეთქება გმირთა მოედანზე**

**გუშინ 12 საათზე, გმირთა მოედანზე, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალის ახლოს არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელთან მძლავრი აფეთქება მოხდა. პირველადი ინფორმაციით, ასაფეთქებელი ნივთიერება სანაგვე ურნაში იყო დამონტაჟებული.**

**აფეთქების ორგანიზატორებმა სანაგვე ურნასთან დატოვეს ვრცელი, რამდენიმეფურცლიანი წერილი წარწერით – „პრეზიდენტს სასწრაფოდ“.**



**როგორც „ინტერ-პრესს“ უშიშროების სამინისტროს რიგითმა თანამშრომლებმა განუცხადეს, ადგილზე მოკვლევის შემდეგ წერილს ისინი თავიანთ ხელმძღვანელობას გადასცემენ და მიაღწევს თუ არა ის ადრესატამდე, მათთვის უცნობია. თუმცა ერთ-ერთი ძალოვანის მტკიცებით, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა, წერილის შინაარსი აუცილებლად ეცნობება პრეზიდენტს.**

<u>აქცია</u>

**ჭიათურაში მაღაროელებმა შიმშილობა შეწყვიტეს**

**მაღაროელებმა ჭიათურაში შიმშილობის აქცია შეწყვიტეს. მაღაროელები სამი დღის მანძილზე, 800 მეტრის სიღრმეში ორი თვის ხელფასების მოთხოვნით აქციას მართავდნენ.**

**იმერეთის გუბერნატორის გია გეწაძის განცხადებით, შიმშილობა მას შემდეგ შეწყდა, როცა მან გაარკვია, რომ სს „ფერო“ „ჭიათურმანგანუმს“ წინსწრებით პროდუქციის ღირებულებისთვის კიდევ მიაწოდებს 2 თვის ხელფასების ოდენობის თანხას.**

**ამ საკითხზე იმერეთის გუბერნატორი სააქციო საზოგადოებების – ზესტაფონის „ფეროსა“ და „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელებს შეხვდა. მაღაროელები ხელფასს დაახლოებით 2-3 დღის განმავლობაში მიიღებენ.**

**ინტერ-პრესი.**

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– მაქვს საბჭოთა პასპორტი, ვარ პენსიონერი, ამჟამად მიმდინარეობს პენსიონერთა რეგისტრაცია, მაგრამ მასში ძველი პასპორტით აღარ გვატარებენ, გვთხოვენ ახალ პირადობის მოწმობას.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ღირს ახალი პირადობის მოწმობა და როგორ ავიღო იგი დაჩქარებული წესით, რომ ისედაც მიზერული პენსიის გაცემა არ შემიფერხდეს?**

**მერაბ გამყრელიძე.**

– მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან საბჭოთა პასპორტებს ნამდვილად შეუწყდათ მოქმედების ვადა; საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა 2 ლარი და 50 თეთრი ღირს. იგი უფასოდ მხოლოდ ომის ინვალიდებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეცემათ, ხოლო 50 პროცენტი შეღავათით – ომის ვეტერანებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო სამსახურის უფროსის გურამ ახალაიას ინფორმაციის თანახმად, იმისათვის, რომ ახალი პირადობის მოწმობის უქონლობის გამო პენსიონერებს არ შეგექმნათ პრობლემები, ყველა ის პენსიონერი, რომელიც საპასპორტო სამსახურში წარადგენს საბჭოთა კავშირის პასპორტს, პენსიონერის მოწმობას, ორ ფოტოსურათს და სახელმწიფო ბაჟის ქვითარს, ორი-სამი დღის ვადაში მიიღებს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას, მაგრამ ვინაიდან, მიუხედავად ზემოაღნიშნული შეღავათებისა, ბევრი პენსიონერისთვის მაინც შეუძლებელი გახდა ამ ეტაპზე ახალი პირადობის მოწმობის აღება და რეგისტრაციაში გატარება, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ნება დაერთოთ პენსიონერებს 2005 წლის 1 მაისამდე რეგისტრაციაში გატარებისა და მათთვის საჭირბოროტო სხვა საკითხების მოგვარების დროს გამოიყენონ ძველი (საბჭოთა) პასპორტები.

**– 1941-1945 წლებში, ზურგში თავდადებული შრომისათვის დაჯილდოებული ვიყავი მედლით, მაგრამ საბუთები დაკარგული მქონდა და ახლა არქივში ძლივს აღმოაჩინეს.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, გამეზრდება თუ არა პენსია და რა დროიდან?**

**ნუნუ შეროზია.**

– გირჩევთ, საბუთი – ომის პერიოდში ზურგში თავდადებული შრომისათვის დაჯილდოების შესახებ, დაუყოვნებლივ წარადგინოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კანონის თანახმად, პენსია თვეში 35 ლარის ოდენობით მოგეცემათ 2005 წლის 1 იანვრიდან.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ:
93-16-90; 93-28-54.**

სკოლა

# ყმაწვილმა უნდა იცოდეს...

## სულხან-საბა ვაზს „ყურძნის ხეს“ უწოდებდა

**სოფლის შემოდგომის სიუხვეს ქალაქი უმალ იგრძნობს. აბა, როდის ყოფილა ქალაქი უსოფლოდ? ამ შემოდგომაზეც დედაქალაქის 44-ე სკოლის სააქტო დარბაზში შემოდგომა „დასახლდა“... აქ შედგა „სკოლა – ერთა ურთიერთობის ცენტრის“ და ახალგაზრდული კლუბის „თეთრი კვიცის“ წევრთა გაერთიანებული დისკუსია თემაზე: – „ვაზი, ღვინო, ახალგაზრდობა და მომავალი“.**

ის ამ სასწავლებელში მოსწავლეთა მიერ პროფესიული არჩევანის მოტივაციას და ქიმიის მასწავლებლის ჯული ელისაშვილის ხელმძღვანელობით (სკოლის დირექტორი მარინა შანშაშვილი) მევენახეობა-მეღვინეობაში ქიმიის მეცნიერების როლს მიეძღვნა. ეს იყო სტუმართა აქტიური მონაწილეობით საქმიანი თამაშის ფორმით მომზადებული ღონისძიება. ქიმიის მასწავლებელმა უფროსკლასელებისთვის ამჯერად პროფესიული არჩევანის მოტივაცია ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის მევენახეობა-მეღვინეობის გაცნობით წარმოადგინა. ყველას მიმართ მასწავლებელ ჯული ელისაშვილის თხოვნაც ეს იყო, მოსწავლეებთან ერთად გამართულიყო დიალოგი თემაზე: „ვაზი, ღვინო, ახალგაზრდობა და მომავალი“.

ღონისძიებას წინ დიდი მოსამზადებელი მუშაობა უძღოდა. მოსწავლეებმა ბევრი რამ შეიტყვეს მევენახეობა-მეღვინეობის, ამ სპეციალობაში ქიმიის მეცნიერების წვლილზე და საგანთა ურთიერთკავშირიც მიმზიდველად წარმოადგინეს. თავიდან გამოსვლები სკოლის ახალგაზრდული კლუბის მიერ მოძიებული მასალის ინფორმაციებს დაეთმო, შემდეგ კი მსჯელობა მაგიდებიდან წამოსული წინადადებების ირგვლივ გაიმართა.

მოსწავლეებმა შეიტყეს, თუ რატომ არის საქართველოს ისტორიული ფესვები ვაზის ფესვებთან გადახლართული, რომ XII საუკუნეში შექმნილი სიმღერა „შენ ხარ ვენახი“ ქართველს დღესაც გულის ძარღვს უთრთოლებს და რატომ არის საქართველო ვაზისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამორჩეული. არც წარსულის გახსენება დავიწყნიათ, როცა მტერი ქართველ ვაჟკაცებთან ერთად ქართულ ვაზს ებრძოდა, რადგან იცოდა, რომ მისი მოსპობა ხალხის რწმენის მოსპობას ნიშნავდა.

ასე რომ, ქართულმა ვაზმა თავისი არსებობის გრძელ გზაზე ისეთივე ჯოჯოხეთი გამოიარა, როგორიც ქართველმა ხალხმა. წინაპრებმა ის ათასჯერ ხელახლა ახარეს და მასზე ზრუნვა თავიანთ შთამომავლობას ანდერძად დაუტოვეს. ამის დასტურია მსხმოიარე ვაზით მოჩუქურთმებული სვეტიცხოველი, სამთავისი, ვარძია, იყალთო, ზარზმა, ბედია, გელათი, ნიკორწმინდა... არქეოლოგიური გათხრების დროს სამარხებში ნაპოვნი ვაზის ანაბეჭდები... დოქებსა და ფიალებზე, აზარფეშებზე... ოქროს, ვერცხლის სამკაულებზე აღბეჭდილი ყურძნისა და ვაზის გამოსახულება... უღვინოდ წარმოუდგენელია ქართველის ყოფა-ლხინი თუ ჭირი, სადღეგრძელო და „მრავალჟამიერი“... აკიდო და ჩხა, გოდორი, საწნახელი, ქვევრი და ტიკი, ყანწი და ჩურჩხელა, თათარა, მარანი... მსოფლიოს ღვინის ჩამონათვალში მოხსენიებულია არაერთი ქართული ღვინო, მათ შორის თუნდაც „მუკუზანი“ – გამორჩეული თავისი საუკეთესო თვისებებით... დამსწრეთათვის ცნობილი გახდა ქართული ღვინოების ჯილდოებიც, მიღებული იუგოსლავიაში, მოსკოვში, უნგრეთში...

მოსწავლეებმა შეისწავლეს აბორიგენული უნიკალური ვაზის ჯიშების აგრობიოლოგიური თვისებებიც... ასე რომ, ლაშა კორძაძეს, ბექა და ლევან დოხტურიშვილებს, სალომე მანაგაძეს და ყველას, დისკუსიის მონაწილე უფროსკლასელებს ეხსომებათ ის, რაც ცნობილმა მევენახეებმა, მეღვინეებმა გააცნეს, საქართველოს რომელ კუთხეში ვაზის რა ჯიშებია გავრცელებული.

ქალაქელი მოსწავლისთვის არ უნდა გახდეს სოფელი უცხო, კარგად უნდა იცოდეს, რომ ქალაქს სოფლის გარეშე გაუჭირდება. ამაზე მეტყველებდა სააქტო დარბაზის მთელ კედელზე მეღვინე თემურ კორტოვას მიერ შექმნილი ვაზისადმი მიძღვნილი თემატიკური კუთხე და მის გვერდით „სურვილების“ უზარმაზარი ხე, სადაც ის მოსაზრებები „დაიკიდა“, თუ ვინ როგორ ხედავდა შემოთავაზებული დისკუსიის სათაურის შინაარსს: „ვაზი, ღვინო, ახალგაზრდობა და მომავალი“. გამოითქვა სურვილი და სკოლის ეზოში მალე ვაზიც დაირგვება.

დისკუსიის მონაწილეთ მხედველობიდან არც ალკოჰოლიზმის მძიმე შედეგები გამორჩენიათ. უფროსებმა ახალგაზრდებს ისიც უთხრეს, რომ ვაზის უნიკალური ჯიშების გადარჩენა დღეს ბევრის საფიქრალი გამხდარა და მათი გადარჩენა მომავალი განსწავლული თაობის ვალია.

მე-20 საუკუნეში შექმნილ ღვინის კოლექციებში 2500-ზე მეტი ჯიშია თავმოყრილი და მათ შორის 400 ქართული ჯიშიცაა. საქართველოში, ამ ჩვენს პატარა მიწაზე, ვაზის 500 ჯიში და სახეობაა გავრცელებული... ასე რომ, დისკუსიის ყველა მონაწილის აზრი გამოიხატა სპეციალურ სტენდზე: „ვიცი, გავიგე, მინდა ვიცოდე“.

მოსწავლეებმა დისკუსიის მონაწილეთ შეახსენეს პოეტების გიორგი ლეონიძის, იოსებ ნონეშვილის, ლადო ასათიანის, ანდრო თევზაძის და სხვების ვაზისადმი მიძღვნილი ლექსები; აქ გამართულმა დიალოგმა მეღვინეობა-მევენახეობაში ქიმიის მეცნიერების როლიც წარმოაჩინა.

მათ ამის შესახებ ესაუბრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან ტაბიძე, აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე და სხვები. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ქუთაისში მოღვაწე აფხაზეთიდან დევნილი მასწავლებელთა მთავარი მრჩეველი ნანული რამიშვილი, განათლების მინისტრის მოადგილე თემურ სამადაშვილი, ფირმა „სოს“-ის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის წარმომადგენლები, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი სოფო ბუკია, არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლება და სამყაროს“ თავმჯდომარე მერი ლობჟანიძე, აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „დიოსკურია“. ნუნუ რამიშვილმა და რამაზ გახოკიძემ მასპინძლებს მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის საჩუქრად განკუთვნილი წიგნები გადასცეს.







ღონისძიება „ვაზი, ღვინო და ახალგაზრდობა“ 44-ე სკოლაში.

**ნათელა ფაილოძე,
რიტა ჩაკვეტაძე.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

◎ სამხედრო მშენებლობა

# წვრთნა... მშვიდობისთვის

## მასზე რამდენიმე დღის წინათ ვწერდით. დღეს უფრო ვრცლად მოგითხრობთ



საყვარეს მთიდან ხელისგულივით ჩანდა „ბრძოლის ველი".

მარჯვნივ, იალაღების სიშიშვლეში, ჩვენი მეომრები უნდა იყვნენ ჩასაფრებულნი, ჩვენს ქვემოთაც და პირდაპირაც! ისეთია შენიღბვა, რომ დაგეშილი თვალიც ვერ შეამჩნევს. გაღმა, უსახელო მაღლობზე, კარგა ხანია მოწინააღმდეგემ პოზიციები დაიკავა. საბრძოლო დავალება მტრის ალყაში მოქცევას და, თუ არ დანებდებოდა, სრულ ლიკვიდაციას გულისხმობდა.

ომის დაუწერელი, მაგრამ მრავალნაცადი პირობაა, — იერიშზე გამთენიისას გადადიან, რომ ძილბურანში გახვეულ მოწინააღმდეგეს მოულოდნელად დაატყდნენ თავს. მაგრამ იმ დღეს შეტევა შუადღისას დაიწყო. სასიგნალო რაკეტამ ხელ-ფეხი გაუხსნა ომის ღმერთს და დაიწყო მოწინააღმდეგის განლაგების საარტილერიო და საავიაციო დარტყმებისთვის „მომზადება"... ქვემეხებისა და ნაღმტყორცნების ზათქმა შეაზანზარა გარემო. ხეობათა სიღრმიდან, თითქოს არწივებმა ირაო დაუარესო, ვერტმფრენები აიჭრნენ ცაში. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების კონონადამ მოწინააღმდეგის ბანაკში შიში და პანიკა დათესა.

— ქვეითთა ასეულები — შეტევაზე! — გაისმა ბრძანება და თითქოს მიწიდან ამოიყარნენო, მიზნისკენ აღმავალთ ფერდობი ქართველთა „ვაშამ" ააფორიაქა. ქვემეხთა, ნაღმრტყორცნთა, ტანკების, „ბეტეერების", „ბეემპეების", ვერტმფრენთა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებისა და „ვაშას" ხმიანობას ასობით „აკაემის", „აკაესის" სასწავლო ტყვიათა კრიახი შეუერთდა.

ერთ საათში თითქმის ყველაფერი დამთავრდა: — მოწინააღმდეგის ძირითადი ბაზა განადგურებულია, მიმდინარეობს მტრის დარჩენილი მცირე დაჯგუფებისაგან მაღლობის გაწმენდა, — სამხედრო რადიოკავშირმა მოიტანა ეს ამბავი სამეთაურო ჯიხურში, — ჩვენგან დანაკარგები არ არის, მსუბუქად დაჭრილია სამი მებრძოლი, ვითხოვთ სასწრაფო-სამედიცინო დახმარებას!

მედიკოსები ბრძოლის ველზე გავიდნენ.

კიდევ ოც წუთში მორიგმა შეტყობინებამ გაკვეთა ეთერი:

— მაღლობი მთლიანად აღებულია, მტერს ფეხდაფეხ მივსდევთ.

ცოტა ხნის შემდეგ ახალმა ინფორმაციამ აუწყა საკომანდო ჯიხურს: — ფიცესის ნასოფლართან მიმდინარეობს ბრძოლები მოწინააღმდეგის ნარჩენ ძალებთან.

ნასოფლარი აფეთქების ხმამ გააყრუა. დანთებულმა ხანძრებმა ნისლით დაფარა ღრმა ხეობა. ქართული ჯარის ჩუბინებმა უმაგალითო სიზუსტით „ამოხოცეს" აქა-იქ თავშეფარებული მტრის ცოცხალი ძალა, რომელთაც უკვე არც ეთქმოდათ „ძალა". ქარმა დენთის სუნი აპკურა სოფელ ფიცესის თავზე წამომდგარ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საუკუნოვან კედლებს...

ვინ იცის, რამდენი საუკუნეა არ ახსოვს მთის ამ პატარა სოფელს ქართველთა ბრძოლის ყიჟინა, დღეს კი...

დღეს კი, საქართველოს შინაგანი ჯარების საკომანდო ჩარდახიდან კმაყოფილნი გაჰყურებენ ბრძოლის ველს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი და შინაგანი ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი გიორგი თათუხაშვილი.

გული არ მითმენს, რომ არ გავესაუბრო მათ:

— „ომი" დამთავრდა...

— ომი აწი იწყება! დღევანდელი ომი კი მხოლოდ ომი იყო მშვიდობისთვის... მზადება მამულის სამსახურისთვის, — მპასუხობს გენერალ-მაიორი და იღიმება, ეტყობა კმაყოფილია შედეგით.

**— ბატონო მინისტრო, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, კარგად იბრძვიან ჩვენი ბიჭები?**

— შესანიშნავად! ყოველი მათგანი ისე ზუსტად ასრულებდა ბრძანებებს, ისე მაღალპროფესიული იყო მათი ყოველი მოქმედება... თითოეული მათგანი შექების ღირსია.

მერე, ვინ დამაცადა საუბრის გაგრძელება, — გენერალსა და მინისტრს ჩემი კოლეგა ჟურნალისტები მიაწყდნენ და იმავე საღამოს, სატელევიზიო და რადიოინფორმაციებმა მტერსა და მოყვარეს აუწყეს ქართველ მებრძოლთა ჩაუქობის ამბავი.

მე კი ვიჯექი უძველესი ციხე-გალავნის ნანგრევების ლოდზე და უკვე მერამდენედ ვადარებდი ერთმანეთთან დღევანდელ ბრძოლებს და იმ ეპიზოდებს, რომელთა მსგავსი აქამდეც არაერთხელ მინახავს.

...ქართველთა და ოსთა მიტოვებული ნასოფლარის მწვერვალიდან სევდიანად გაჰყურებდა მთელს საქართველოს საოსბისის ტაძრის ნანგრევები, მისი ნაფრესკალი და ნაჩუქურთმალი ლოდები კი კვლავინდებურად ერთგულად დარაჯობდნენ ქართველთა და ოსთა საფლავებს. ჩვენი წინაპრები ძმურად იწვნენ ერთმანეთის გვერდით და მათ წმინდა სულებს უკვირდათ, ამ ბოლო წლებში რა გაგვხდომოდა გასაყოფი ამ ტიალ წუთისოფელში...

**ზაურ ფიფია,**
**„სრ" სპეც. კორ.**

**სურათებზე: სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი და შინაგანი ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი გიორგი თათუხაშვილი თვალყურს ადევნებენ სამხედრო-წვრთნებს; მძიმე საბრძოლო ტექნიკამ და ავიაციამ შეტევა დაიწყო.**



# „არტილერია ომის ღმერთია!"

**...ეს ფრთიანი გამონათქვამი, ცხადია, იმ უდიდეს როლზე მიუთითებს, რომელიც ამ დანაყოფს საჯარისო სტრუქტურებში ენიჭება, — არტილერია მართლაც, რომ ომის ღმერთია. ეს არაერთხელ დამტკიცდა მსოფლიო ომების ისტორიაში. როდესაც ქართული შინაგანი ჯარების სულ ახლახან შექმნილ საარტილერიო პოლკს ვეწვიე, ნათლად ვიგრძენი ის სიამაყე, რომელსაც ამ სამხედრო ნაწილის რიგითები და მეთაურები განიცდიდნენ.**

**მეთაური კი, მართლაც, ცნობილი არტილერისტი, შესანიშნავი პიროვნება და სპეციალისტი, გენერალ-მაიორი ემზარ ჭოჭუა გახლავთ.**

**ბატონი ემზარი ქვემეხის დაზგასთან პირველად ჯერ კიდევ 1969 მივიდა, როდესაც საარტილერიო სკოლის კურსანტი გახდა. მერე... ხშირი იყო სამსახურებრივი მისამართების ცვლა, — სამხედრო სავალდებულო სამსახური გერმანიაში მოიხადა და, როგორც პერსპექტიული სპეციალისტი, „წაახალისეს" — კანონით გათვალისწინებული სამი წლის ნაცვლად ხუთი წელიწადი ამსახურეს... მერე იყო ავღანეთი, მოლდავეთი, შუა აზია, — მძიმე ხანა ქართველი კაცისთვის, მაგრამ საბჭოთა სამხედრო უღელს ასე ადვილად ვერ გადაიგდებდი. ბოლოს, გაუმართლა, — საქართველოში გადმოიყვანეს! ამ პერიოდში საქართველოში უდიდესი საარტილერიო რუსული დაჯგუფება იყო დისლოცირებული, — ოთხი დივიზია, მასზე გათვლილი 476 საარტილერიო ერთეულით.**

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბატონ ემზარ ჭოჭუას, სხვა მრავალ ქართველ სამხედრო სპეციალისტთან ერთად, პატივი ხვდა ჩამდგარიყო ქართული შეიარაღებული ძალების მშენებელთა რიგებში.**

**— საქართველოში დისლოცირებული საბჭოთა ჯარები და, განსაკუთრებით მისი არტილერია, თქვენს თვალწინ დაიშალა არა, ბატონო ემზარ?**

— შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ, რუსეთს არაფერი დაუკარგავს. დამრტყმელი ძალა საქართველოს რომ არ დარჩენოდა, რაც გამოსადეგი იყო, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე გაიტანეს, — უმეტესობა როსტოვის ოლქში, ერთი შენაერთი კი სომხეთს აჩუქეს...

**— საქართველოს არაფერი დარჩა?**

— არაფერი! და რაც დარჩა, მხოლოდ მწყობრიდან გამოსული და თითქმის ჯართად ქცეული...

**— და მაინც, ამ „ჯართიდან" გამოვა რამე?**

— უკვე სამი თვეა მიმდინარეობს ამ „ჯართის" ინტენსიური „გაცოცხლება"... აქამდე რატომღაც ვერ მოიცალა ჩვენმა ყოფილმა მთავრობამ ამისთვის...

**— შედეგი როგორია?**

— შედეგი მართლაც რომ შესაშურია და მე მიხარია, რომ ამას ქართველი სპეციალისტები ახორციელებენ.

**— „ჯართის" აღდგენა ჯობია თუ ახლის შეძენა?**

— რა თქმა უნდა, ახალი ცოცხი უკეთ გვის, მაგრამ... ახალი დანადგარები და ჭურვები ძალიან ძვირი ფუფუნებაა ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის, მაგრამ, როგორც ამ ბოლო ხანებში გამართულმა სამხედრო წვრთნებმა გვიჩვენეს, საკუთარი ხელებით აღდგენილმა სამხედრო ტექნიკამ თავისი მაღალი საიმედობა დაამტკიცა... ასე რომ, რეზერვი თანდათან ივსება და ეს არ შეიძლება არ უხაროდეს ქართველ კაცს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს...

**— ამ სამიოდე კვირის წინათ აფხაზმა სეპარატისტებმა „გამარჯვების" დღე იზეიმეს... თქვენ თვითონ გამოცადეთ აფხაზეთის დროებითი დაკარგვით გამოწვეული სიმწარე...**



— დიახ, იმ უბედურების მონაწილე მეც გახლავართ და ეს სიმწარე არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან... დამარცხების მიზეზებზე პრინციპული საუბრის დროც დადგება, მაგრამ ქართულ არტილერიას მაშინაც ჰქონდა ნათელი დღეები... და იმ ნათელმა დღეებმა ქართველ არტილერისტთა გამჭრიახმა, პროფესიულად დაგეგმილმა მაშინდელმა ეპიზოდებმა დამარწმუნა, — ქართულ არტილერიას და, მთლიანად შეიარაღებულ ძალებს მომავალი აქვს. ამის ნათელი დადასტურებაა ქართული შინაგანი ჯარების აი, ეს სამხედრო დათვალიერება-სწავლება, რომელსაც თქვენთან ერთად ვესწრები და რომელმაც საუცხოო შედეგები გვიჩვენა!



**ნინო მელაძე,**
**შინაგანი ჯარების გაზეთ „ფარის" რედაქტორი, უფროსი ლეიტენანტი.**

**სურათებზე: გენერალ-მაიორი ემზარ ჭოჭუა; არტილერია მზადყოფნაშია.**

# ინდონეზიის პრეზიდენტმა ფიცი დადო

**გადამდგარმა გენერალმა სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ დადო ფიცი ინდონეზიის პრეზიდენტის რანგში.**

მან გაიმარჯვა მიმდინარე წლის სექტემბერში ქვეყნის ისტორიაში პირველად გამართულ პირდაპირ საპრეზიდენტო არჩევნებში.

სუსილო ბამბანგ იუდჰოიონოს წინაშე საკმაოდ რთული ამოცანები დგას: გამოასწოროს საქმეები ქვეყნის ეკონომიკაში და აღკვეთოს კორუფცია.

არჩევნებში დამარცხებულმა ქვეყნის პრეზიდენტმა მეგავატი სუკარნოპუტრიმ არ ისურვა მეტოქისათვის მიელოცა გამარჯვება და არ გამოცხადებულა ინაუგურაციის ცერემონიაზე.

სუკარნოპუტრის უნდა წარმოეთქვა გამოსამშვიდობებელი სიტყვა, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ქალბატონი არ გამოცხადდა ცერემონიაზე, საზეიმო ღონისძიება შეკვეცილი პროგრამით გაიმართა.

არ არის გამორიცხული, რომ სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ უკვე უახლოეს დღეებში გამოაცხადებს ქვეყნის მთავრობის ახალ შემადგენლობას.



ბოლო ერთი თვის განმავლობაში იგი შეხვდა პოტენციურ მინისტრებს და ამ საუბრების დროს განიხილეს ქვეყნის წინაშე წამოჭრილი პრობლემები. ახალი პრეზიდენტი ამომრჩევლებს პირდება ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას, კორუფციის ალაგვმას და უშიშროების დონის ამაღლებას. ამ საკმაოდ რთული ამოცანების შესრულების მიზნით სუსილო ბამბანგ იუდჰოიონო აპირებს დააფუძნოს ეროვნული საბჭო, რომელიც წარუდგენს პრეზიდენტს ექსპერტთა შეფასებებს სხვადასხვა საკითხის თაობაზე.

ახალ პრეზიდენტს ცოტა დრო აქვს, რადგან ამომრჩევლები მისგან ბევრს ელიან, ქვეყნის მთავრობა კი არჩევნების შემდეგ აპათიამ მოიცვა.

მეგავატი სუკარნოპუტრის თანაშემწეებმა განაცხადეს, რომ უკვე ყოფილი პრეზიდენტი არ უნდა დასწრებოდა საზეიმო ცერემონიას, რადგან ეს იყო ინაუგურაცია და არა ხელისუფლების გადაცემა.

როგორც ჩანს, სუკარნოპუტრიმ ვერ აპატია თავის ყოფილ უშიშროების მინისტრს მისი მთავრობიდან წასვლა. სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ მინისტრის პოსტი დატოვა იმ მიზნით, რომ მიეღო მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში.

თვით არჩევნების დასრულების შემდეგაც კი სუკარნოპუტრიმ არ ისურვა ახლადარჩეულ პრეზიდენტთან შეხვედრა და არც კი მიულოცა მას გამარჯვება.

# ბი-ბი-სიმ ტელეჟურნალისტ... ტელენეკროლოგი მოამზადა არიელ შარონის მკვლელობის შემთხვევისათვის

**ბრიტანეთის ტელე-რადიოსამაუწყებლო კორპორაცია ბი-ბი-სი ამზადებს პროგრამას ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის შესახებ მისი მკვლელობის შემთხვევაში. ბი-ბი-სის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს შარონის მკვლელობის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა მისი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ცალმხრივ ჩამოშორებას პალესტინელებისაგან.**

გადაცემაზე მუშაობა საიდუმლო ვითარებაში დაიწყო დაახლოებით ნახევარი წლის წინათ და საღღეისოდ თითქმის დასრულებულია.



პროგრამის გადაღებას, რომლის ავტორებიც მოგვითხრობენ შარონის ცხოვრებაზე, დაახლოებით ორი კვირა დასჭირდა. ახლა ფილმზე მუშაობას განაგრძობენ რედაქტორები.

რამდენიმე კვირის წინათ ისრაელში იმყოფებოდა ბი-ბი-სის გადამღები ჯგუფი, რომელმაც ინტერვიუთა მთელი სერია აიღო. ბრიტანელი კორესპონდენტების თანამოსაუბრეთა შორის აღმოჩნდნენ ცნობილი ებრაელი ჟურნალისტი და ქნესეთის ყოფილი დეპუტატი ური ავნერი, პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურის იასირ არაფატის მრჩეველი ჯიბრილ რაჯუბი და გადამდგარი გენერალ-მაიორი აბრაამ ადანი.

ივლისის დამდეგს გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უკიდურეს მემარჯვენეთა მომხრეები და რელიგიური რადიკალები, რომლებიც ილაშქრებენ პალესტინის ტერიტორიებიდან ებრაელთა დასახლებების ევაკუაციის წინააღმდეგ, ამზადებენ თავდასხმას ისრაელის პრემიერ-მინისტრზე არიელ შარონზე. მცირე ხნით ადრე კი, იერუსალიმის ძველი ქალაქის რაბინმა ავიგდორ ნევენცალმა, სასულიერო ლიდერების კრებებზე გამოსვლისას, გაიხსენა რელიგიური კანონი „დინ როდეფი". იგი რთავს იმ ადამიანების მოკვლის ნებას, რომლებიც სხვა ხალხებს უთმობენ ებრაელთა კუთვნილ მიწებს.

მოგვიანებით, უშიშროების საერთო სამსახურის ხელმძღვანელმა ავი დიხტერმა ქნესეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ 200-მდე რელიგიურ ექსტრემისტს სურს შარონის მოკვლა და ისინი მზად არიან დაიწყონ აქტიური მოქმედება.

ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის მკვლელობის 9 წლისთავის წინ საზოგადოებრივი ორგანიზაციის „გეშერის" მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, ქვეყნის ებრაული მოსახლეობის წარმომადგენელთა 32,8 პროცენტს მიაჩნია, რომ არსებობს კიდევ ერთი პოლიტიკური მკვლელობის „დიდი ალბათობა".

# ტერორისტები იმუქრებიან, რომ ერთ კვირაში მიწასთან გაასწორებენ სეულს

**საერთაშორისო ტერორისტები იმუქრებიან, რომ მთლიანად დაანგრევენ სეულს, თუ სამხრეთ კორეა ერთი კვირის განმავლობაში არ გამოიყვანს ჯარებს ერაყიდან. როგორც ჩინეთის „სინჰუას" სააგენტო იტყობინება, ეს გაფრთხილება განთავსებულია ინტერნეტში, ერთ-ერთ ისლამისტურ საიტზე.**

„სამხრეთ კორეას აქვს მხოლოდ შვიდი დღე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ნაცარტუტად და ნანგრევებად ვაქცევთ სეულს", — ხაზგასმულია გაფრთხილებაში. ცხრა დღის წინათ კი აქამდე უცნობმა „ჰამუდ ალ-მასრის ბატალიონის" დაჯგუფებამ, სამხრეთ კორეას მისცა ორი კვირის ვადა ერაყიდან ჯარების გამოყვანისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჯგუფების წევრები ტერაქტების განხორციელებით იმუქრებოდნენ. ტერორისტთა მტკიცებით, სეულში მათ საკუთარი ბაზა აქვთ.

„თუ თქვენ არ აიძულებთ თქვენს მთავრობას დატოვოს ერაყი, მწარედ ინანებთ ამაზე და ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალოთ, როცა მიწასთან გასწორებულ ქალაქში აღმოჩნდებით", — მოჰყავს ჩინეთის სააგენტოს ციტატა ტერორისტების მიერ სეულელებისათვის წაყენებული ულტიმატუმიდან.

სამხრეთ კორეის დედაქალაქის მთავრობას ასეთი მუქარის აღსრულება ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნია, თუმცა, სეულში მაინც მიმართეს უშიშროების გაძლიერებულ ზომებს. სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელმა ლი გიუ ჰენმა განაცხადა, რომ „ჰამუდ ალ-მასრის ბატალიონის" დაჯგუფება აქამდე ნაკლებად ცნობილი ორგანიზაციაა, მაგრამ იგი მიაკუთვნებს თავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოქმედ „ალ-ყაიდას" ტერორისტულ ქსელს.

ამჟამად ერაყში იმყოფება 2800 სამხრეთკორეელი სამხედრო მოსამსახურე, ნოემბერში კი იქ დამატებით კიდევ 800 ჯარისკაცს გაგზავნიან. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ ეს ერაყში მოქმედი სიდიდით მესამე უცხოური სამხედრო კონტინგენტია.

# გლობალური დათბობა მძიმე დარტყმებს აყენებს მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებს

**ეკოლოგიურ და ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა კოალიცია ამტკიცებს, რომ კლიმატის შეცვლა უქმნის საფრთხეს ეკონომიკურ ზრდას ღარიბ ქვეყნებში.**

თავიანთ ახალ მოხსენებაში ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ გლობალურმა დათბობამ შესაძლოა შეუშალოს ხელი გაეროს ათასწლეულის დეკლარაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

ოთხი წლის წინათ თითქმის 200 სახელმწიფოს ლიდერებმა მოაწერეს ხელი გაეროს ათასწლეულის დეკლარაციას, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მიზნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში.

კერძოდ, დასახული იყო ამოცანა, რომ 2015 წლამდე გლობალური მასშტაბით ერთიორად შემცირებულიყო შიმშილსა და სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რიცხვი, შეჩერებულიყო ინფექციურ დაავადებათა ზრდა, აგრეთვე, გაუმჯობესებულიყო სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებები და განვითარებადი ქვეყნების მცხოვრებლების უზრუნველყოფა სასმელი წყლით.

გაეროს მიერ ამ ცოტა ხნის წინათ მომზადებულ მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ამ პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა შექმნილი პლანეტის უღარიბეს რეგიონებში — აფრიკის კონტინენტზე, საჰარის უდაბნოს სამხრეთ ნაწილში.

მოხსენებაში, რომელიც მოამზადა 18 საქველმოქმედო და ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ, ასეთი მდგომარეობის გამომწვევ ძირითად მიზეზად დასახელებულია კლიმატის შეცვლა.

მოხსენების ერთ-ერთი მთავარ ავტორს, ახალი ეკონომიკის ფონდის წარმომადგენელს ენდრიუ სიმსს მიაჩნია, რომ გლობალური დათბობა ყველაზე მეტად მოახდენს გავლენას მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებზე. „ჩვენ თვალყურს ვადევნებთ დიდ წყალდიდობებს სანაპირო რაიონებსა და მდინარეების დელტებში, სადაც უამრავი ადამიანი ცხოვრობს. ეს უდიდეს ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას, რის შედეგადაც იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც შიმშილობენ", — აღნიშნავს იგი.

კომპიუტერული მოდელირება გვიჩვენებს, რომ ასეთი კატაკლიზმები კიდევ უფრო გახშირდება, მათი შედეგები კი სულ უფრო ძვირი დაჯდება.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ კლიმატური ცვლილებების შედეგად იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც განიცდიან სასმელი წყლის უკმარისობას, რის გამოც, მატულობს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების



რისკი, მცირდება სურსათ-სანოვაგის რაოდენობა, ლტოლვილთა რიცხვმა კი, პლანეტის მასშტაბით, შესაძლოა 150 მილიონს მიაღწიოს.

როგორც სიმსი აცხადებს, „მარტო მიმდინარე წელს, ორი თვის განმავლობაში, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყნის — ბანგლადეშისათვის მიყენებულმა ზარალმა მიაღწია მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 5 პროცენტს, ეს კი ძალზე დიდი თანხაა.

გასულ წელს სტიქიური უბედურებებით გამოწვეულმა გლობალურმა ზარალმა 60 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ეს უბედურებები, უმეტესწილად, გამოწვეული იყო კლიმატური კატაკლიზმებით. გლობალური დათბობის კომ... 

ყოველივე ამის დასაძლევად, აღნიშნულია მოხსენებაში, სასწრაფოდ უნდა შემცირდეს გამოყენებული ნახშირწყალბადიანი ნედლეულის მოცულობა და გაიზარდოს დასავლეთის სახელმწიფოების დახმარება განვითარებადი ქვეყნებისადმი კლიმატის შეცვლის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში.

წინააღმდეგ შემთხვევებში, ათასწლეულის დეკლარაციაში დასახული მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდება.

# მოკლედ

**ესპანეთში აღკვეთეს მსხვილი ტერორისტული აქტი. ესპანეთის პოლიციამ შეძლო ისლამისტი ტერორისტების უჯრედის გაუვნებლება, რომლებიც აპირებდნენ ქვეყნის ეროვნული სასამართლოს შენობის წინ აეფეთქებინათ სატვირთო მანქანა. დაკავებულია 8 ტერორისტი.**

* * *

**„წითელი ბრიგადების" მოთარეშეები თავდასხმებს ამზადებდნენ იტალიელ პოლიტიკოსებზე. პოლიციას ხელში ჩაუვარდა „წითელი ბრიგადების" მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი ქალის კომპიუტერი. კომპიუტერის დისკზე მოთავსებული იყო ინფორმაცია იმ თვალსაჩინო იტალიელი**



**პოლიტიკოსების შესახებ, რომლებზეც თავდასხმას, სავარაუდოდ, ამზადებდნენ ტერორისტები.**

* * *

**ბრიტანელ დეპუტატებს არ სურთ, რომ ამ ქვეყნის ჯარები ბასრიდან ბაღდადში გადაიყვანონ. ისინი მოითხოვენ გაიმართოს კენჭისყრა პარლამენტში ჯარების დისლოკაციის ადგილის შეცვლის მიზანშეწონილობის შესახებ. ინიციატორები — თემთა პალატის 45 წევრი დე-**



**პუტატ ელის მეჰონის მეთაურობით — დარწმუნებული არიან, რომ ვაშინგტონს სამხედრო დახმარება არ სჭირდება, ამერიკელებს, უბრალოდ, სურთ თავიანთი მოკავშირეები ჩაითრიონ შეერთებულ შტატებში მიმდინარე წინასაარჩევნო რბოლაში.**

* * *

**მინსკში დაკავებული რუსი ჟურნალისტი პავლე შერემეტი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. როგორც თვით ჟურნალისტმა თქვა, სასამართლოში მას განუცხადეს, რომ იგი თავისუფალია. შერემეტმა აღნიშნა, რომ მილიციიდან სასამართლოში არანაირი დოკუმენტები არ გადაუგზავნიათ. თუმცა, მიაჩნია ჟურნალისტს, იგი ნებისმიერ წუთს კვლავ შეიძლება დააკავონ და მიიყვანონ სასამართლოში, რათა იქ გამართონ დახურული პროცესი ჟურნალისტების მონაწილეობის გარეშე.**

* * *

**ისრაელში ერთბაშად 7 ძებნილი მოთარეშე დააკავეს. დაპატიმრებათა სერია განახორციელა ისრაელის თავდაცვის არმიამ. „ჰამასის" მოძრაობის ორი აქტივისტი დააკავეს ქალაქ ჰებრონში, კიდევ ერთი ძებნილი პირი კი — ამ ქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ერთ**



**ერთ სოფელში. იერუსალიმიდან სამხრეთით, ბეთლემის მახლობლად, განლაგებულ სოფელ ალ-ჰადრში დააპატიმრეს ასევე ძებნილი პალესტინელი ტერორისტი ქალი და მისი თანამზრახველი, გარდა ამისა, კიდევ ორი მოთარეშე დააკავეს ქალაქ ნაბლუსის მიდამოებში.**

* * *

**ამერიკელთა უმრავლესობა მზად არის ჩავიდეს ფსონში 100 დოლარი, რადგან ისინი დარწმუნებული არიან, რომ პრეზიდენტის არჩევნებში ჯორჯ ბუში გაიმარჯვებს. ამას მოწმობს შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც ტელეკომპანია „ფოქსის" შეკვეთით განხორციელდა.**

* * *

**ტაიფუნის გამო იაპონიის სამხრეთ ნაწილში პარალიზებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა. ამ მომენტისათვის გადადებულია 302 ავიარეისი, რამაც დაახლოებით 34 ათასი მგზავრის გეგმები ჩაშალა. შეწყვეტილია საბორნე მიმოსვლა, რადგან სტიქიური უბედურების რაიონში ტალღების სიმაღლე 12 მეტრს აღწევს.**



სხვა გაზეთებიდან

# პროფესიონალიზმია თავად რეფორმა...

***გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციის ჟურნალისტები ნათელა ძიმირიძე, ნინო შურაბაძიშვილი და მარინე ტომარაძე ესაუბრნენ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ლევან ჩიქვანიას. ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა იქიდან გადმობეჭდილ მათ საუბარს.***

**— ბატონო ლევან, ამ ბოლო დროს ვინ არ ებმება განათლების მიმდინარე რეფორმის პერიპეტიებში. თქვენ კი არც ერთ განხილვაში არ მონაწილეობთ. ეს ის დუმილი ხომ არ არის, რომელიც თანხმობის ნიშნად ითვლება?**

— ეს იძულებითი დუმილია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სათანადოდ ინფორმირებული არ ვარ, მეორეც, არ ვემხრობი სხვისი შეცდომის ღრმაგებიანს. ვინც რამეს ქმნის, მას შეცდომაც მოსდის, ვინც არაფერს აკეთებს, მას შეცდომას ვერ უპოვი, მაგრამ... ცხადია, ამით უფრო დიდ შეცდომას სჩადის.

[illegible]

გლებოდა, რითაც ვერაფერს გახდებოდი.

**— ბატონო ლევან, განათლების სამინისტროს ე. წ. ახალი გუნდი ჯერ ბოლომდე დაკომპლექტებულიც არ იყო, რომ გავრცელდა ხმა — ჩვენი სკოლების ოთხკლასდამთავრებულთა ნახევარს წერა-კითხვა არ სცოდნიაო. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს საზეიმო ინფორმაციას ვავრცელებთ. მართალია, ეს სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას არ მიეწერება, მაგრამ ვის წისქვილზე ასხამს ის წყალს?**

— არა, ეს არ ყოფილა კარგი სავიზიტო ბარათი. გარდა ამისა, ეს ინფორმაციაც არ არის სწორი. მეოთხეკლასელმა კი არა, დღეს სასკოლო ასაკის ნორმალურ ბავშვთა თითქმის ნახევარმა მერხზე დაჯდომამდე იცის წერა-კითხვა. სარეფორმო ჯგუფის მიერ გამოკვლეულ მასალებში ლაპარაკია არა წერა-კითხვის არცოდნაზე, არამედ — წერითი და ზეპირი მეტყველების ხარისხზე, საპროგრამო მასალის ათვისების დონეზე. ცხადია, არც ეს არის სანუგეშო ფაქტი, მაგრამ ამას თავისი ობიექტური ახსნა აქვს: უკანასკნელი წლების მანძილზე იმდენად დაეცა ქვეყანაში დისციპლინა, იქამდე მოიშალა სასწავლო პროცესი, რომ შეიძლებოდა უარესი შედეგიც გვქონოდა. რაც შეეხება გამოკვლევის შედეგებს, მას შემდგომი მუშაობის დასაგეგმად იყენებენ და არა სარეკლამოდ.

[illegible]

— ეს პედაგოგიური მოტივებით არ აიხსნება, როგორც რეფორმატორები აცხადებენ, ღონისძიებათა მეტი წილი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივებითაა ნაკარნახევი.

**— როგორ, ბატონო ლევან, კორუფციასთან რა კავშირი აქვს მასწავლებლობას, კორუფცია ხომ ხელმძღვანელ მუშაკთა მოსყიდვას, თანამდებობის პირთა მიერ სახელმწიფო თანხების მითვისებას გულისხმობს?!**

— რა დასამალია, მასწავლებელთა და უმაღლესი სკოლის მუშაკთა შორისაც გვყვანან თითო-ოროლა უკეთურები, რომლებიც სახელს უტეხენ კეთილსინდისიერ, თავისი საქმის ერთგულ, ბავშვთა აღზრდისათვის მოწოდებულ ათეულათასობით პედაგოგს...

**— დღეს მილიონების მითვისებისა და დატაცებისთვის ბევრი თანამდებობის პირია იზოლირებული, ზოგს ნაქურდალს ართმევენ და ქურდობასაც პატიობენ, განათლების გაღატაკებულ მუშაკებს კი უნდობლობას უცხადებენ, ეს რა ლოგიკაა?**

— დიახ, ამაში არის რაღაც ალოგიზმი, მაგრამ მთავარი აქ სხვა რამეა: როგორი წარმოდგენა ექმნება შეგირდს იმ ოსტატზე, რომელსაც სახელმწიფო არ ენდობა?! დარწმუნებული ვარ, ეს პედაგოგის იმიჯზე გამოუსწორებელ გავლენას მოახდენს, მასწავლებელსა და მოწაფეს შორის გაჩნდება უფსკრული, რომელზეც აღზრდა-განათლების ხიდის გადება ერთობ ძნელი გახდება. ამას სხვა პარადოქსიც ემატება: როგორც ვიცით, სკოლის დირექტორი კი არ ინიშნება, არამედ ირჩევა და თუ ეს არჩევის მექანიზმი უფრო დემოკრატიულია და, მაშასადამე, საიმედოც, რატომ ვართმევთ მას სკოლის ხელმძღვანელის მართვის ყველა ბერკეტს? რა ქნას, რით გაუძლევს დაწესებულებას? რა არის ეს? არც დანიშნულ დირექტორს ვენდობით, არც არჩეულს?! მაშ, ვის ვენდობით? ნდობის ფაქტორი ადამიანის გამოსწორებისა და აღზრდის მეთოდადაა მიჩნეული. ნუ წავუყრუებთ პედაგოგიკის კლასიკოსებს. ილიას და იაკობს ზურგი თუ შევაქციეთ, კურიკულუმი ვერაფერს გვიშველის. უნდობლობის ატმოსფეროში ჩემმა მტერმა იცხოვრა.

**— აქ კიდევ ჩნდება კითხვა: რით უნდა აიხსნას იმ იდეის გაჩენა, რომ სკოლის ხელმძღვანელისთვის პედაგოგიური განათლება საჭიროდ არ ითვლება?**

— ყველა იდეას აქვს არსებობის უფლება. ვნახოთ, შევხედოთ, ხომ შეიძლება ზოგიერთმა გაამართლოს და სკოლა ააყვავოს?!

**— როგორც ვიცი, გამონაკლისებზე კანონი არ იგება! გარდა ამისა, სკოლის დირექტორობას, ალბათ, თავის სპეციალობაში ხელმოცარული პირი თუ მოისურვებს...**

— ცხადია, აბა, ჭაბუა ამირეჯიბები და თამაზ გამყრელიძეები არ წავიდოდნენ დირექტორებად, მაგრამ, რომც წასულიყვნენ, ჩვენ რას მოვიგებდით?!

**— ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ვერ აუხსნიათ, სასწავლო გეგმებში რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში მშობლიურ ენას 70 საათი აქვს დათმობილი, ხოლო ქართულ სკოლაში ამ საგანს — მხოლოდ 65.**

— ამ კაზუსს თავისი ახსნა აქვს, მაგრამ გამართლება — არა. ეჭვი არ მეპარება, გასწორდება.

**— ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-3 მუხლში ჩამოთვლილია სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, რომელთა შორისაც მითითებულია „მოსწავლეთა ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება". თქვენი აზრით, აქ ხომ არ არის გამორჩენილი ბავშვებში ეროვნული ცნობიერების აღზრდა?**

— ან გამორჩენილია, ან გამოტოვებული. ავტორები ალბათ სამოქალაქო ცნობიერებაში ეროვნულსაც გულისხმობენ.

**— პროექტის ავტორები ჩვენთვის აუხსნელ სიტყვათწყობაში წამდაუწუმ ხმარობენ ტერმინს — „ეროვნულს" და რაღა ამ შემთხვევაში მოერიდნენ აღზრდის საქმეში ამ ერთობ მნიშვნელოვანი ელემენტის დაფიქსირებას?!**

— მართალი ბრძანდებით. კანონპროექტში მათ ზოგან სრულიად უადგილოდ აქვთ ნახმარი ეს სიტყვა. მართლაც, გაუგებარია, რას ნიშნავს „ეროვნული გამოცდები", „ეროვნული შეფასების სისტემა". ვფიქრობ, ასეთ კონტექსტში ამ ცნებას სხვა დატვირთვა აქვს დაკისრებული.

**— იმასაც ამბობენ, რომ ეს მათ შირმად სჭირდებათ.**

— ჯერ ერთი, განათლების სისტემაში არაფერია შესანიღბი და, მეორეც, ვინც ამ პროექტს განიხილავს, არა მგონია, იმდენად დაბალი დონის იყოს, რომ ასეთ პრიმიტიულ ხერხზე წამოეგოს, რაიმე შევატყუოთ.

**— ერთ-ერთ პროექტს რეფორმატორებმა ილია ჭავჭავაძე დაარქვეს. პრეზენტაციაც საგურამოს სახლ-მუზეუმში ჩაატარეს. რატომ ეფარებიან ასე ილიას სახელს?**

— ეს ფორმალობა მისასალმებელი იქნებოდა, იმ პროექტში სათანადოდ რომ იყოს ასახული ილიას მსოფლხედვა. პროექტებში მე ვერ წავაწყდი, უბრალოდ, სიტყვა „პატრიოტიზმს". ნუთუ ჩვენს ქვეყანას არ სჭირდება პატრიოტის აღზრდა, ამდენი დოკუმენტი შედგა და კრინტი არ არის დაძრული მამულიშვილობაზე, ზნეობაზე? უზნეო ლიბერალი და დემოკრატი თაობა ვის რაში გამოადგება? ყველამ უნდა ვიცოდეთ, ბავშვის აღზრდა თუ გვინდა, ილიასა და იაკობის პედაგოგიურ პრინციპებს გვერდი არ აევლება.

**— პროექტის მიხედვით, სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საჭიროდაა მიჩნეული ძალადობის აღმოფხვრა. ამ საკითხს ეძღვნება კანონპროექტის მესამე მუხლის მე-2 პარაგრაფი. განათლების სისტემაში, ვითომ, მართლა აქვს ადგილი ძალადობის ისეთ მასშტაბებს, რომ მის აღმოსაფხვრელად კანონში ცალკე პარაგრაფის შეტანა გახდა საჭირო?**

— ამას მეც მივაქციე ყურადღება. ვფიქრობ, უნდა განიმარტოს, რას გულისხმობენ ძალადობაში. იქნებ, ის აქვთ მხედველობაში, რომ სწავლება და აღზრდა თავისთავად შეიცავს იძულების ელემენტებს. სხვა მხრივ, არა მგონია, რაიმე საგანგაშო ხდებოდეს ჩვენს სკოლებში. პანიკიორი მეცხვარისა არ იყოს, ალბათ თადარიგს ვიჭერთ, როცა რაიმე ძალადობა იჩენს თავს, მაშინ ავამოქმედოთ ეს პარაგრაფი. სამწუხაროდ, განათლების სისტემას ძირს უთხრის უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა და ეს არის მისახედი, მაგრამ ამაზე ყურს ჯერ არავინ ვიბერტყავთ.

**— ბატონო ლევან, როგორც ამბობენ, სარეფორმო მუშაობას სათავეში მაღალი რანგის ახალგაზრდა მეცნიერები უდგანან. მაგრამ საბაზისო დოკუმენტების პროექტებს სრულფასოვანს ვერ დავარქმევთ. თქვენ რით ხსნით ამას?**

— ცოდნისა და განათლების დეფიციტს ჩვენი სამინისტრო ნამდვილად არ განიცდის, მაგრამ ხომ უნდა გაირკვეს, ვის რა უნდა მიენდოს. მოგეხსენებათ, ხარაზი ნალბანდობას ვერასოდეს გასწევს.

**— ბატონო ლევან, ჩვენი ადრინდელი სამინისტრო ხმამაღლა აცხადებდა — რეფორმის მოსამზადებლად პროფესიონალები არ გვჭირდებიან, ისინი ხელს შეგვიშლიანო. სამინისტროს ახალმა შემადგენლობამ კი მოსვლისთანავე თქვენთან — მეცნიერებთან და პრაქტიკოსებთან თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვა, მაგრამ, როგორც ვიცით, კომპეტენტურ პირებს ისინი ახლოსაც არ იკარებენ. რა შეფასებას მისცემდით მათ განცხადებებსა და ქმედებებს?**

— როგორც ჩანს, ჩვენი სამინისტროს წინამორბედი გუნდი გულწრფელობას იჩენდა, ახლანდელმა კი ქათინაური ამჯობინა. ისე, კაცმა რომ თქვას, ისინი, ერთნიც და მეორენიც, ცამდე მართალნი არიან, — ამგვარი პროექტების შედგენაში რეფორმებს პროფესიონალები, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლიდნენ.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად საფუძვლიანია ზოგიერთი საგაზეთო სტატიის ავტორის შეშფოთება, ვიღუპებითო, რომ აცხადებს?**

— დარწმუნებული ვარ ამგვარი აჟიოტაჟის ატეხა ნამდვილად არ არის საჭირო. ავტორები უთუოდ გაითვალისწინებენ შენიშვნებს და სათანადოდ ჩაასწორებენ წარმოდგენილ პროექტებს.

**— მადლობელი ვართ საუბრისთვის, ჩვენც ოპტიმისტურად განვეწყვეთ და იმედით ველოდებით ხვალინდელ დღეს.**

---

# განცხადება
## (ცვლილება)
## სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა აცხადებს სატელევიზიო გადაცემების შესყიდვაზე ორეტაპიან ინტელექტუალურ ღია ტენდერს

**რეკვიზიტები — ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68**

ტენდერი ტარდება ტელეპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ნოვატორული ფორმების მოსაზიდად და განსახორციელებლად.

**პირველი სატენდერო ეტაპი:**

**1) ინფორმაცია განმცხადებლის და შემოქმედებითი ჯგუფის შესახებ:**

ა) იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი შემოქმედებითი ჯგუფი ან სტუდიაა:

აღწერეთ თქვენი შემოქმედებითი ჯგუფი, სტუდია თუ როდის იყო იგი რეგისტრირებული, რა პროექტები ჰქონდა განხორციელებული უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. წარმოადგინეთ სია და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული გადაცემაში.

ბ) თუ განმცხადებელი პიროვნებაა:

თქვენი ბიოგრაფიული მონაცემები (განათლება, შემოქმედებითი მუშაობის პრაქტიკა), ბოლო სამი წლის მანძილზე გაკეთებული გადაცემები (თუ რა თქმა უნდა, ასეთი იყო).

**2) პროექტის ლიტერატურული და სარეჟისორო სცენარი, სავარაუდო საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.**

**3) სატენდერო პროექტები:**

**ლოტი 1 — ცენტრალური საახალწლო გადაცემა. ქრონომეტრაჟი 3-4 საათი**

**ლოტი 2 — გასართობი გადაცემა. ქრონომეტრაჟი 26 წთ.**

**ლოტი 3 — დოკუმენტური ვიდეოფილმები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებზე. ქრონომეტრაჟი 26 წთ.**

**ლოტი 4 — გვიანი ღამის თოქ-შოუ. ქრონომეტრაჟი 52 წთ.**

**ლოტი 5 — გადაცემა რელიგიაზე, ქრონომეტრაჟი 26 წთ.**

**ლოტი 6 — საახალწლო მუსიკალურ-გასართობი გადაცემა. (ქრონ. 45-50 წთ).**

**დამატება:**

**ლოტი 7 — რუსულენოვანი ჟურნალი სამხრეთ კავკასიის მცხოვრებთათვის (ქრონომ. 26 წთ.).**

**თითოეული პროექტის კონცეფციის დაწვრილებით მონაცემებს შეგიძლიათ გაეცნოთ ტელერადიომაუწყებლობის მშრომელთა მისაღებში.**

**მისამართი: კოსტავას №68 ან საქტელერადიომაუწყებლობის ვებ. გვერდზე www.geotvr.ge**

ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულებების გარეშე.

**მეორე სატენდერო ეტაპისათვის:**

პრეტენდენტები წარმოადგენენ:

**ლოტ-1-ზე და ლოტ-6-ზე — მხოლოდ გადაცემის ხარჯთაღრიცხვას;**

**ლოტ-2, ლოტი-3, ლოტი-4, ლოტ-5-ზე და ლოტ-7-ზე**

**1) საჩვენებელ, ე. წ. „პილოტ" გადაცემას;**

**2) გადაცემის ხარჯთაღრიცხვას.**

პირველადი სატენდერო წინადადებების შედეგად სატენდერო კომისია ადგენს სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტს. პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მას გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტი.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) 2004 წ. 1 ნოემბრის 11 საათიდან 4 ნოემბრის 18 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68, ოთახი № 341.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას**

**იურიდიული პირებისათვის:**

— ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

— ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

— ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

**ფიზიკური პირებისათვის:**

— ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

— ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

— ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500ლ.) გადახდის შემდეგ, ვადა ეცნობებათ დამატებით. მისამართზე – ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68, ოთახი № 341 - სსიპ საქტელერადიომაუწყებლობა.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს — ზამთარაძე ნათია. ტელ: 33-23-64.**

---

# განცხადება

თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმის №3ა/375-2004 წ. მასალები მოსარჩელეების შპს „ეგრისისა" და სს „ბავშვთა სამყაროს" სარჩელის გამო, მოპასუხის ქ. თბილისის საკრებულოს მესამე პირების: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და შპს „თბილწყალკანალის" მიმართ. დავის საგანი: მოსარჩელეები ითხოვენ ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 9 სექტემბრის №12-1 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ცნობილ იქნეს გაყალბებულად და ბათილად.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრეს, ვისაც, შეიძლება, შეეხოს ადმინისტრაციული საქმე №3ა/375 2004-ზე გამოტანილი გადაწყვეტილება და აცნობებს მათ, რომ შეუძლიათ ჩაებან აღნიშნული საქმის განხილვაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. თითოეულმა დაინტერესებულმა სუბიექტმა უნდა მიმართოს განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი 7ა) მოსამართლეს ნანა ჭანიშვილს.

**თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე**
**ნ. ჭანიშვილი.**

---

# შპს „საქართველოს რკინიგზა"

**ბრძანება №143/6**

ქ. თბილისი — 20 ოქტომბერი, 2004 წ.

## გენერალური დირექტორის 2004 წლის 5 ივლისის №56/6 ბრძანებაში „ტვირთის გადაზიდვის ტარიფების შესახებ" ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის 2004 წლის 5 ივლისის № 56/6 ბრძანების „ტვირთის გადაზიდვის ტარიფების შესახებ" პირველ პუნქტს დაემატოს: „ნედლი ნავთობისათვის" ცარიელი საკუთარი ცისტერნების გადაზიდვის ღირებულება დგინდება საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2002 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის" მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობებით".

2. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" და ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

3. ბრძანება დაყვანილ იქნეს შემსრულებლებამდე, ტვირთმფლობელებამდე, ექსპედიტორებამდე.

4. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს კომერციულ დირექტორს ბატონ რ. გიორგაძეს.

**გენერალური დირექტორი**
**დ. ონოფრიშვილი.**

---

## დეპარტამენტ სამტრესტში მიმდინარე „ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგით ვენახების გაშენების" ტენდერის მიმდინარეობის შესახებ

სამტრესტის სატენდერო კომისია „ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგით ვენახების გაშენების" ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს გაცნობებთ, რომ პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებები წარდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2004 წლის 26 ოქტომბრის 15 საათისა, მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დეპარტამენტი სამტრესტი (მე-2 სართული, ოთახი №207) სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2004 წლის 26 ოქტომბერს, 15 საათზე. პრეტენდენტებს ვიწვევთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნის პროცედურას, რომელიც განხორციელდება ოთახში №202.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**
**ვაჟა მამაიაშვილი.**

---

## განცხადება

მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან შპს **„თრეიდ-სერვისი"** წყვეტს საქმიანობას საზოგადოების ლიკვიდაციის გზით.

**სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე**
**რ. ჯიქია.**
ტ: 38-30-57.

---

## კრედიტორთა საყურადღებოდ!

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" გურჯაანის სახაზო-საექსპლოატაციო ფილიალი, რეგისტრირებული 2000 წლის 30 მაისს ქ. გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, რეგისტრაციის № 7/4-1350, აცხადებს ლიკვიდაციას.

**დაინტერესებულთ გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სარაჯიშვილის ქუჩა.**

---

სს „მშენმექანიზაცია" აცხადებს, რომ დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ. სარეგისტრაციო ნომერი № 2/5/3/10/2.

განაცხადის რეგისტრაციის № 16/98.

თარიღი 29/XII-1998 წ.

**სს „მშენმექანიზაციის" დირექცია.**

---

## ხუთშაბათი
### 21 ოქტომბერი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი **"სპირალი"** მე-**2**ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი **"მკვლელობათა ძიების განყოფილება"** **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ხეები" **15.20** პოლიტიკური მევლელობები **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი **"უშიშრები"** **16.30** "მრავალჟამიერ"-ლაგოდეხი **17.00** მულტსერიალი **17.30** დოკ. ფილმი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"ზღვის რაჯა"** **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი **"მკვლელობათა ძიების განყოფილება"** **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი **"სპირალი"** (U) მე-**3**ს.

**19.00** საქ. პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატთა შუალედური არჩევნები **20.00** მულტფილმი **20.25** "იმღერე რამე" **20.50** "ეძიე ქალი" **21.10** ბასტი-ბუბუ **21.25** ძველი აფიშა **21.55** დრო და ადამიანები **22.05** მხ. ფილმი **"ხაფანგი"** (U) მე-**2**ს.

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი **"ეკლები და ვარდები"** **11.00** "ხალხის პირისპირ" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **13.30** მხ. ფილმი **"100 დღე ბავშვობის შემდეგ"** **15.15 ჩემპიონთა ლიგა**. "მილანი"-"ბარსელონა" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "ჯეტექსი" **18.55** სერიალი **"ბევერლი ჰილზი"** **19.40** პატრული **19.50** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **22.00** "ვის უნდა **50** ათასი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი **"გაქცევა"**. მთ. რ-ში: პიერ რიშარი (18). **02.10** პატრული

**07.00** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი **"ტყუპები"** **11.15** სერიალი **"ყავა და ლუდი"** **12.20, 14.50, 03.35** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.05 ტვ**-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი **"კარგი ქურდი"** (U) (ნ. ნოლტი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 02.55** ქრონიკა **15.20** სერიალი **"კლონი"** **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი **"ტყუპები"** **20.00 ფეხბურთი**. "დინამო" (თბილისი) – "სოშო" (საფრანგეთი) **22.50** "პირველი ნახევარი" **23.20** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **23.50** მხ. ფილმი **"კოლეჯი"** (**18**) (დ. სუეინი) **01.25** "აქტიორი" **02.00** სერიალი **"ნეშ ბრიჯესი"**

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი **"ჩენტო ვეტრინე"** **10.30** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი **"ვუპი"** **11.35** კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.30** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი **"მარია ემილია"** **16.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ჰოლივუდი დღეს" **19.05** სერიალი **"ჩენტო ვეტრინე"** **20.45** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **21.15** სერიალი **"ვუპი"** **21.45** კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი **"იტალიელი ხალხის სახელით"** (U) (უგო ტონიაცი)

**18.00** მინისერიალი **"გარონი"** **1**-ლი ს. **20.00** დოკ. ფილმი **21.00** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი **"მწერების ომი"** (15)

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** სერიალი **"ნარჩიტა მომღერალი ჩიტია"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი **"მილედი"** **19.20, 21.00** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი **"ველური გული"** (U) **00.30** ქართული მუსიკა

**08.00** ევრონიუსი **19.00** მულტფილმი "ბრძოლა კერჟენეცთან" **19.10** კლასიკური მუსიკა **19.15** დოკ. სერიალი "მე-**20** ს. მითები და ლეგენდები" **19.45** ქართ. მუს. კლიპი **19.50** მხ. ფილმი **"მორიელების მეფე"** **21.20** ევრონიუსი

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი **"მუსკულები"** (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი **"მუსკულები"** **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები **202**-ზე

◎ ხსოვნის კულტურა

# ჩვენი დაუვიწყარი სერგო ხარაზიშვილი

XX საუკუნე დღეს უკვე შარშანდელია. ამ „შარშანდელი" საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებმა შეინახეს ხშირად ხელმოწერა ჟურნალისტ სერგო ხარაზიშვილის გვარ-სახელი. [illegible] ამ „ფურადო კრებულის" ავტორები არიან გურამ გოგიაშვილი, ლია გოდერძიშვილი, ბონდო [illegible], ფარსადან თოფურია, [illegible], მედეა ცოტაძე, ოთარ ხუციშვილი. ქვემოთ გთავაზობთ ერთ-ერთ „კენჭს" ხსენებული პუბლიკაციიდან.

## თავისი საქმის გიჟი



ვინც სერგო ხარაზიშვილს იცნობდა, ალბათ არ გაიკვირვებს, თუ ვიტყვი: სერგო ხარაზიშვილი თავისი საქმის გიჟი იყო. [illegible]



[illegible] ნარკვევი, რომელსაც სერგო ხარაზიშვილი [illegible]

[illegible]

სერგო ხარაზიშვილს სწორედ ეს „სიგიჟე" გამოარჩევდა თავისი ბევრი ხელოსანი თანამოკალმისგან.

**გურამ გოგიაშვილი.**

◎ ეს საინტერესოა

# სად რამდენს მუშაობენ



ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად, კანადასა და იაპონიაში, კანონმდებლობა არ საზღვრავს სამუშაო დღეს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, აშშ-სა და იაპონიაში წელიწადში 1815 საათს მუშაობენ, ავსტრალიაში – 1824 საათს, კანადაში – 1778 საათს. თუ გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში დაახლოებით 180-190 სამუშაო დღეა, მაშინ დღეში 10 სამუშაო საათი გამოდის. შვებულება იაპონიაში – 18- დღიანია, ამერიკაში – 12.

ევროკავშირის ქვეყნებში 1998 წლიდან მოქმედებს საევროპო დირექტივა სამუშაო დროზე, რომელითაც მაქსიმალური სამუშაო კვირა განსაზღვრულია 48 საათით (თუ შაბათ-კვირას დაისვენებენ, იქაც თითქმის 10 საათი გამოდის), ამასთან, გერმანიაში ყველაზე მოკლე სამუშაო დღეა – 7 საათი და ყველაზე გრძელი შვებულება – 6 კვირა.

ყველაზე მეტს მუშაობენ სამხრეთ კორეაში – წელიწადში 2447 საათს. რამდენს ვმუშაობთ ჩვენ? როგორც ცნობილია, საბიუჯეტო ორგანიზაციებში 40-საათიანი სამუშაო კვირაა, რაც წელიწადში დაახლოებით 1740 საათი გამოდის (კერძო სექტორში ეს ალბათ დამქირავებლისა და დაქირავებულის შეთანხმებით დგინდება).



# კომერციული კონკურსი

**მარნეულის რაიონის გამგეობა აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შესყიდვის შესახებ. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმად განისაზღვრება საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური ქირის გადახდა.**

1. ს. წერეთელში 400 კვ. მ. სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
2. ს. შულავერში 1000 კვ. მ. ავტომომსახურების ობიექტის მშენებლობისათვის.
3. ს. შულავერში 40 კვ. მ. და 12 კვ. მ. მიწის ნაკვეთები სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
4. ს. ბუდიონოვკასთან 100 კვ. მ. ავტომომსახურების ობიექტის მშენებლობისათვის.
5. ს. ალგეთში 30 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
6. ს. წერეთელში 100 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
7. ს. დამია-გეორარხთან 400 კვ. მ. მიწის ნაკვეთის ა. გ. ს. მშენებლობისათვის.
8. ს. ზემო ყულარში 300 კვ.მ. ა. გ. ს. მშენებლობისათვის.
9. ს. წერეთელში 90 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
10. ქ. მარნეულში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე 50 კვ. მ. მიწის ნაკვეთი ავტომომსახურების მშენებლობისათვის.
11. ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე 40 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის (სარგებლობის უფლებით) იჯარით.
12. ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე 130 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
13. ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე (ჯანდარის მასივთან) 400 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
14. ქ. მარნეულში აღმაშენებლის ქუჩაზე 160 და 200 კვ. მ. მიწის ნაკვეთები სავაჭრო-სასაწყობო ობიექტების მშენებლობისათვის.
15. ს. კიზილ-აჯლოში 200 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
16. ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე 120 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
17. ქ. მარნეულში, ნარიმანოვის ქუჩაზე 50 და 80 კვ. მ. მიწის ნაკვეთები სავაჭრო და ავტომომსახურების ობიექტების მშენებლობისათვის.
18. ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე 25 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
19. ს. სადახლოს ერევნის ავტო გზის მარცხენა და მარჯვენა მხარეს შესაბამისად 1000 და 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთები სავაჭრო და ავტომომსახურების ობიექტების მშენებლობისათვის.
20. ქ. მარნეულში, 26 მაისის ქ.-ზე 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტების მშენებლობისათვის.
21. ს. შულავერში 6500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ბაზრის ნაგებობების მშენებლობისათვის.
22. ს. ალგეთში, 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი კაფე-სასადილოს მშენებლობისათვის.
23. ქ. მარნეულში, 25 მაისის ქუჩაზე, ავტოსადგურთან 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი კაფე-ბარის მშენებლობისათვის.
24. ს. ლეჟბადინში 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
25. ს. იმირის მიმდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ინერტული მასალების კარიერის აღდგენისათვის.
26. ქ. მარნეულში აღმაშენებლის ქუჩაზე, ყოფილ სამშენებლო მოედანზე, 1400 კვ.მ. სავაჭრო და ავტომომსახურების ობიექტების მშენებლობისათვის.
27. ს. შულავერში, 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საბაზოსადგურის მშენებლობისათვის.
28. ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე №118 საცხოვრებელ სახლთან 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
29. ს. ქვემო სარალში, 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.
30. მარნეულის რაიონის ტერიტორიის შემოსასვლელთან (მარაბდის გადასახვევთან) 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სავაჭრო და მომსახურების ობიექტების მშენებლობისათვის.
31. ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე №5 საცხოვრებელი სახლის ეზოში 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით, ავტოგარაჟისა და დამხმარე სათავსოს მშენებლობისათვის.
32. ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე №25 საცხოვრებელი სახლის ეზოში 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით ავტოგარაჟის მშენებლობისათვის.
33. ქ. მარნეულის შემოსასვლელში, ს. ჯანდარის ჩასახვევთან 1600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, არსებული ავტომომსახურების ობიექტის გარშემო იჯარით ობიექტის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის.

საკონკურსო სხდომა ჩატარდება 2004 წლის 19 ნოემბერს, 11 საათზე ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩა №73, მარნეულის რაიონის გამგეობის სააქტო დარბაზში.

**დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მარნეულის რაიონის გამგეობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიაში, მარნეულის რაიონის გამგეობის შენობა, III სართული.**


◎ მატჩის წინ

# „სოშო" – „მტკიცე საშუალო"

**„სოშო" (დაარსდა 1930 წ.) ომამდე საფრანგეთის უძლიერეს კლუბების რიცხვს მიეკუთვნებოდა, ორჯერ (1935, 1938 წ.წ.) ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ერთხელ კი (1937 წ.) საფრანგეთის თასსაც დაეუფლა. ომის შემდეგ არაფერი ამის მსგავსი აღარ გამეორებულა, თუმცა იგი „მტკიცე საშუალო" რომ იტყვიან, სწორედ ასეთი გახდა.**

2003-2004 წლების ჩემპიონატში პროვინციელმა კლუბმა ნამდვილად გამოიჩინა თავი. მან 20 გუნდს შორის 63 ქულით (ბურთები 54-42, 18 მოგება, 9 ფრე, 11 წაგება) მეხუთე ადგილი დაიკავა და უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, [illegible]

[illegible] „სოშოს" რიგებში ბევრი ლეგიონერი ან ორმაგი მოქალაქეობის მქონე ფეხბურთელი თამაშობს. [illegible] (1878, სენეგალი და საფრანგეთი), [illegible]

„სოშო" ჩვეულ ლიონელ პოტ-იიონის მიერ გატანილი გოლის წყალობით დიდხანს წინ იყო, მოგება „მარსელთან" (2:0), სადაც ბურთები გაიტანეს ნახევარმცველმა ჟერემი მატიომ და ტუნისელმა თავდამსხმელმა ფრანსილეუდო სანტოსმა.

[illegible] დილი ოსტატები არიან. ყველაზე ცნობილი კი, რა თქმა უნდა, „სოშოს" მთავარი მწვრთნელი, წარსულში საფრანგეთის ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი გი ლიაკომბია.

**გივი თორელი.**

◎ ფეხბურთი

# იწყება ჯგუფური ეპოქა



**დღეს 20 საათზე ვაკეში მნიშვნელოვანი მოვლენაა – უეფას თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის სტარტზე თბილისის „დინამო" საფრანგეთის „სოშოს" მასპინძლობს, რომელიც საქართველოს დედაქალაქს გუშინ ეწვია. მატჩს ავსტრიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება. სამწუხაროდ, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი ბრძოლაში სოლიდური დანაკლისით ებმება – დისკვალიფიცირებული კანკავას მსგავსად, „ლოკომოტივის" სტადიონზე ამჯერად ვერც ტრავმირებულთა მთელი ლეგიონი – ზოიძე, კვირკველია, გონჩაროვი, სილაგაძე, გრიგალაშვილი – ითამაშებს, თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე გუშინდელ პრესკონფერენციაზე მაინც იმედიანად გამოიყურებოდა.**

– ფრანგებთან შეხვედრისთვის ისე ვემზადებით, როგორც ნებისმიერი სხვა მეტოქისთვის, – აღნიშნა მან, – მიმაჩნია, რომ ბიჭები სრულ მზადყოფნაში არიან. რაც შეეხება სტუმრებს, ვნახე ფირი მათი მონაწილეობით და გარკვეული წარმოდგენა შემექმნა კიდეც. „ვისლასგან" განსხვავებით, „სოშო" გაცილებით ხისტი და ტექნიკური ფეხბურთით გამოირჩევა, სადაც თერთმეტივე მოთამაშე იცავს თავს და სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებს. ილანი, ორუმა, მეტიუ, ლიზაბეი – აი, ფრანგული კლუბის წამყვან ფეხბურთელთა გვარები. მთლიანობაში ეს გახლავთ კარგად დაბალანსებული გუნდი.

– ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდი „ლოკომოტივის" სტადიონის დირექციას, რომელმაც ყველა საკითხი მოგვიგვარა, მათ შორის – გაზონის ხარისხი. იქ უკვე სამჯერ ვივარჯიშეთ და „ვიტ ჯორჯიასთან" ვითამაშეთ კიდეც. ასე რომ, ადაპტაციაც გავიარეთ, თუმცა, ჩემი აზრით, უმჯობესი იყო მშობლიურ „დინამოს" სტადიონზე გვემასპინძლა „სოშოსთვის".

– ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მომავალ ბატალიებში რაიმე კონკრეტული მიზანი არ დაგვისახავს, მაგრამ, მოგეხსენებათ, მადა ჭამაში მოდის. ასე რომ, ვეცდებით ჯგუფიდან გავაღწიოთ და რაც შეიძლება, შორს წავიდეთ.

**გია პლატონიშვილი.**

* * *

**19 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის II ტური.** საქართველო-ლიტვა 2:3. შეგახსენებთ, რომ სტარტზე ჩვენმა გუნდმა მასპინძელ სლოვაკებს 4:2 მოუგო. ასე რომ, ხვალ მალტასთან წარმატების შემთხვევაში ვახტანგ კოპალეიშვილის შეგირდები მორიგ ეტაპზე გავლენ (ამ უფლებას 2 საუკეთესო მოიპოვებს).

* * *

**გუშინ საქართველოს სტადიონებზე გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური შეხვედრები.** გაუწყებთ მათ შედეგებს: „ვიტ ჯორჯია" – „ჭაბუკიანი" 6:0, „ბათუმი" – „პრემა" 1:0, „სიონი" – „ამერი" 2:3, „ტორპედო" – „მილანი-მერანი" 4:0, „კოლხეთი" – „ცხინვალი" 4:0, „თბილისი" – „დილა" 2:0, „სპარტაკი" – „ლოკომოტივი" 1:2. გადაიდო „დინამო" – „ზესტაფონი". საპასუხო რაუნდი 3 ნოემბერს მოეწყობა.

◎ ჩემპიონთა ლიგა

# უფერული სამშაბათი

**სანაკრებო ციებ-ცხელების შემდეგ დროებით ჩრდილში მოქცეულმა ჩემპიონთა ლიგამ სამშაბათ საღამოს კვლავ მიგვაჯაჭვა ტელეეკრანს. ბრძოლის განახლება არცთუ სასიამოვნო სანახაობით აღინიშნა – ეტყობა, სატურნირო სტრატეგიამ და მოჭარბებულმა ტრავმატიზმმა თავისი როლი ითამაშა.**

**„ა" ჯგუფი**

**„ლივერპული" – „დეპორტივო" 0:0.**
**„მონაკო" – „ოლიმპიაკოსი" 2:1.**
**გოლები: სავიოლა, ჩევანტონი; ოკასი.**

როგორც ჩანს, ხავიერ ირურეტას გუნდმა თავი დააღწია კრიზისს – პრიმერადივიზიონში მოპოვებულ ზედიზედ ორ გამარჯვებას „დეპორტივომ" „ენფილდ როუდზე" შთამბეჭდავი ბურთაობა დაუმატა, თუმცა მხოლოდ ქულას დასჯერდა – შესვენებამდე მასპინძელთა ნახევარმცველმა რიისემ გამოიტანა ბურთი ცარიელი კარის ხაზიდან, 65-ე წუთზე კი ვალერონმა ვერ დააგვირგვინა ფლანგური შეტევა ზუსტი დარტყმით.

განვლილი ლიგის ფინალისტმა „მონაკომ" სამხრეთამერიკელ ლეგიონერთა ინდივიდუალური ოსტატობით დებიუტშივე მიაღწია საწადელს, თუმცა მეორე ტაიმში მოდუნდა და კინაღამ დაისაჯა.

„მონაკო" – 6, ლივერპული", „ოლიმპიაკოსი" 4-4, „დეპორტივო" – 2 ქულა.

**„ბ" ჯგუფი**

**„რეალი" – კიევის „დინამო" 1:0.**
**გოლი: ოუენი.**
**„ლევერკუზენი" – „რომა" 3:1.**
**გოლები: როკე ჟუნიორი, კრჟინოვეკი, ფრანკა; ტოტი.**

გაჭირვება მანახეო, ხომ გაგიგონიათ – ბექჰემის ტრავმით შექმნილმა რთულმა ვითარებამ „სამეფო კლუბის" დროებითი თავკაცი გარსია რემონი აიძულა მინდორზე ერთბაშად სამი თავდამსხმელი გამოეყვანა და გაუმართლა კიდეც – რონალდომ ჩინებული ასისტენტობა გაუწია ოუენს, რომელმაც „რეალის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა. მთლიანობაში უკრაინელებმა ღირსეული მეტოქეობით ბევრი თავსატეხი გაუჩინეს ფავორიტს, მაგრამ წარმატებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება მეორე წყვილს, იქ რომაელთა ქრონიკული ხულიგნობა კვლავაც საკადრისად დაისაჯა – ამჯერად წითელი ბარათი პანუჩიმ და დე როსიმ დაიმსახურეს.

**„ლევერკუზენი", კიევის „დინამო", „რეალი" 6-6, „რომა" – 0 ქულა.**

**„გ" ჯგუფი**

**„იუვენტუსი" – „ბაიერნი" 1:0.**
**გოლი: ნედვედი.**
**„აიაქსი" – მაქაბი" 3:0.**
**გოლები: სონკი, დე იონგი, ვან დერ ვაარტი.**

„იუვენტუსი" – 9, „ბაიერნი" – 6, „აიაქსი" – 3, „მაქაბი" – 0 ქულა.



**„დ" ჯგუფი**

**„სპარტა" – „მანჩესტერი" 0:0.**
**„ფენერბახჩე" – „ლიონი" 1:3.**
**გოლები: მარსიო ნობრე; ჟუნინიო, კრისი, ფრო.**

**გია პლატონიშვილი.**

◎ ცურვა

# პირადი რეკორდები გააუმჯობესა, გამოცდილებაც შეიძინა

**ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ინდიანაპოლისში „მოკლე წყალზე" (25-მეტრიან აუზში) მე-7 მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. საასპარეზოდ 100 ქვეყნის 1200-მდე სპორტსმენი გამოვიდა, მათ შორის – თბილისელი მოცურავე, ყოფილი ფეხბურთელის – ზაზა რევიშვილის ვაჟი ირაკლი. 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში იგი ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების მხარდამხარ იბრძოდა. ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში 14 წლის ყმაწვილისგან, ცხადია, კვარცხლბეკზე ასვლას არავინ ელოდა და ასეც მოხდა, თუმცა, ქართველმა მოცურავემ ერთგვარ წარმატებას მაინც მიაღწია. მისმა მწვრთნელმა ირინა მინქულინამ მითხრა, რომ ირაკლიმ წლეულს, ზაფხულს 400 მეტრი თავისუფალი ყაიდით 4 წუთსა და 17 წამში გაცურა, ინდიანაპოლისში ეს შედეგი ერთბაშად 10,2 წამით გააუმჯობესა და სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებამდე სულ მცირე დააკლდა.**

ასეთი დონის საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველად ვმონაწილეობდი, – თქვა ირაკლიმ. – ბედნიერი ვარ, რომ უამრავ სახელოვან სპორტსმენს შევხვდი, ზოგთან სამახსოვრო სურათიც გადავიღე. რაც შეეხება სპორტულ მხარეს, შედეგებით უკმაყოფილო არ ვარ. ორივე დისტანციაზე პირადი რეკორდები გავაუმჯობესე და დიდი გამოცდილებაც შევიძინე. 400 მეტრზე ჩემთან ერთად 1988-1989 წლებში დაბადებული რვა სპორტსმენი გამოდიოდა. ყველას ვაჯობე. მათგან რეიტინგით თურქი ალაკლი ალიკანი გამოირჩეოდა, რომელიც ჩემ გვერდით ბილიკზე ასპარეზობდა. ბოლო 25-მეტრიან მონაკვეთზე 3 წამით გავასწარი.

**ირინა მინქულინა:** ირაკლის ისეთი ფინიში ჰქონდა, რომ ტრიბუნაზე მყოფმა მისმა თანატოლებმა აღფრთოვანება ვერ დამალეს, შეჯიბრების შემდეგ ავტოგრაფებიც კი ჩამოართვეს.

ქართველმა მოცურავემ 400 მეტრზე 39 მონაწილეს შორის 29-ე, 1500-მეტრზე კი 22-ე ადგილი დაიკავა. ბოლო დისტანცია მან 16 წუთსა და 33 წამში დაფარა, არადა, წლევანდელი ოლიმპიური თამაშებისთვის სალიცენზიო ნორმატივი 16 წუთი იყო. ირინა მინქულინას მიაჩნია, რომ მის შეგირდს მოსამზადებლად სათანადო ხელშეწყობა თუ ექნება, იგი იოლად მოიპოვებს პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის საგზურს და ჩინეთის დედაქალაქში, შესაძლოა, თავიც გამოიჩინოს.



– მსოფლიო ჩემპიონატისთვის ოლიმპიური მზადების ცენტრისა და კრწანისის კომპლექსური სასპორტო სკოლის აუზებში გავდიოდი წვრთნას, – მითხრა ირაკლიმ. – დიდი მადლობა მათს ხელმძღვანელებს დახმარებისა და ხელშეწყობისთვის. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელმაც შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად მე და ჩემი მწვრთნელი დაგვაფინანსა.

**– მომავალ გეგმებზე რას იტყვი?**

– დეკემბრის პირველ დეკადაში ავსტრიის დედაქალაქი ვენა „მოკლე წყალზე" ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, გაისად რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა დაგეგმილი, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატი კანადაში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ახალგაზრდული თამაშები, იტალიაში – ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიური ფესტივალი. ძალიან მინდა, რომ ამ ასპარეზობებშიც მივიღო მონაწილეობა, თუკი დამეხმარებიან...

სპეციალისტები ირაკლი რევიშვილს ოლიმპიურ იმედად მიიჩნევენ და გვჯერა, რომ მას, როგორც სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურებისგან, ისე ქველმოქმედთაგან ხელშეწყობა არ მოაკლდება.

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათზე: ირაკლი რევიშვილი ინდიანაპოლისში უკრაინელ ექვსგზის ოლიმპიურ ჩემპიონ იანა კლიჩკოვასთან ერთად.**

**ირინა მინქულინას ფოტო.**

◎ სამბო

# ტაშკენტში მიემგზავრებიან

**უზბეკეთის დედაქალაქის სპორტის სასახლე 23-30 ოქტომბერს სამბოში მსოფლიოს 2004 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატის მასპინძელია.**

ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა ოლეგ იაძემ დაასახელა ის მოჭიდავეები, რომლებიც ტაშკენტის ხალიჩაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ. აი, როგორ გამოიყურება ჭაბუკთა ნაკრები: 52 კგ. – ლაშა ტვილდიანი, 56 კგ. – ლევან ქოჩიევი (ორივე თბილისი), 60 კგ. – გელა სანიკიძე (ქუთაისი), 65 კგ – დათო უძილაური (თელავი), 70 კგ. – დათო შენგელია (ფოთი), 75 კგ. – ლევან ფერაძე (თბილისი), 87 კგ. – გიორგი იაშვილი (კასპი), +87 კგ. – მიხეილ თურქაძე (რუსთავი).

ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდნენ: 48 კგ. – ნუკრი ბერაია (ფოთი), 52 კგ. – ალექსანდრე გიგაური (კასპი), 62 კგ. – დავით ქოთოლაშვილი (თბილისი), 68 კგ. ლევან მარკოზაშვილი (გორი), 74 კგ. – დავით კობერიძე (თბილისი), 82 კგ. – ლევან წიკლაური (დედოფლისწყარო), 90 კგ. – მიხეილ რაში (თბილისი), 100 კგ. – იმედა გორგოძე (ზესტაფონი), 120 კგ. – დურმიშხან ბერუაშვილი (გორი.)

საქართველოს სპორტულ დელეგაციაში ოლეგ იაძის გარდა იქნებიან საერთაშორისო კატეგორიის თბილისელი მსაჯი ემილ რაში და ფოთელი მწვრთნელი ზურაბ ტულუში.

◎ ჭრელაჭრულა

## ოლიმპიურ ვარსკვლავეთში



**ლოზანაში, ოლიმპიურ მუზეუმში გაიმართა ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ჯილდოს** Sport-Star **გადაცემის მესამე ცერემონია, რომელსაც ესწრებოდნენ სოკის პრეზიდენტი ჟაკ როგე და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი**. ტრადიციისამებრ, ჯილდოები გადაეცემათ ევროპელ ათლეტებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომლებმაც ყველაზე უკეთ წარმოაჩინეს „ბებერი კონტინენტი" ოლიმპიურ თამაშებზე. წლეულს 28 საერთაშორისო ფედერაციამ ამ მაღალ ჯილდოზე წარადგინა 54 ათლეტი. პრეტენდენტთა შორის პირველად იყო პარაოლიმპიადის ორი მონაწილეც.

**სურათზე: ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში ელენა ისინბაევა საპატიო ჯილდოთი.**

## კოკაინმა და ქალებმა დაღუპეს

**ინგლისის ფეხბურთელთა პროფკავშირის თავკაცის გორდონ ტეილორის განცხადებით, „ჩელსის" რუმინელმა ფორვარდმა ანდრიან მუტუმ აღიარა, რომ ხმარობდა აკრძალულ ნივთიერებას კოკაინის სახით.** ამან კი, შეიძლება, ფეხბურთელის სპორტული კარიერის შეწყვეტა გამოიწვიოს. ამ ცნობამ მსოფლიო სპორტულ პრესაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ბრიტანულმა გაზეთმა Sun კი გამოქექა მუტუს კოკაინით გატაცების ზოგიერთი წვრილმანიც.

ანდრიანი კოკაინს „დაუმეგობრდა" ოჯახური პრობლემების გამო. მან ვერ გაუძლო საყვარელ ადამიანებთან – ცოლთან და ვაჟიშვილთან განშორებას. მან ამას წინათ გააფორმა გაყრა ცოლთან – ალექსანდრასთან და სასამართლოში იჩივლა, რათა მისთვის დაეტოვებინათ ვაჟიშვილი მარიო.



რათა მეუღლე დაევიწყებინა, მუტუმ კავშირი გააბა ტელევიზიის ვარსკვლავებთან და მომღერალ ქალებთან. მისმა ფოტოსურათებმა პორნოვარსკვლავთან, 27 წლის ლაურა ანდრეზანთან ერთად მთელი რუმინული პრესა შემოიარა. ამ სკანდალურ ფოტოებს მეზობელი სახლის ფანჯრებიდან პაპარაცები იღებდნენ.

ლამაზმანი ლაურაც რუმინელია. ის კაცთა ჟურნალის „პენტჰაუსის" მოდელი იყო. ახლა კი პორნობიზნესში ჩაეფლო. ის საიდუმლოდ შეუთანხმდა გაზეთს "Atac", რომლის თანახმადაც ის ერთი თვის მანძილზე მოახერხებდა ცნობილი რუმინელი ფეხბურთელების „შეცდენას". მათ შორის იყოს სამშობლოში სტუმრად ჩასული მუტუც.

სექტემბერში მუტუ საკუთარი „ბმვ"-თი სიჩქარის გადაჭარბებისათვის პოლიციასთან სკანდალშიც გაეხვია. მას მართვის უფლება ჩამოართვეს და დააჯარიმეს კიდევაც.

ახლა კი მას ხანგრძლივი (თუ სამუ- [illegible] ის.

**სპორტის რედაქცია**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს



**საქართველოს სახალხო არტისტი ელისაბედ ჩერქეზიშვილი ზუგდიდელ სცენისმოყვარეებთან.**
**გადაღებულია 1917 წელს.**

**მოგვაწოდა მერაბ მინდიაშვილმა.**

## გიხაროდენ!

# გურგენიძეების მზეთუნახავი

2 ოქტომბრიდან მოყოლებული, დიდი სიხარულია გურგენიძეებისა და ლონდაძეების ოჯახებში. ამ ზეიმის მიზეზი კი ერთი ულამაზესი გოგონას, ელენეს დაბადება გახლავთ. იგი სოფიკო ლონდაძისა და მიხეილ (მიშიკო) გურგენიძის პირველი შვილია. პაწიას ამჟამად მოვლენამ მშობლებთან ერთად დიდად გაახარა დეიდა-ბიძები, ბებია-ბაბუები, მთელი სანათესაო...

მშვენიერი ელენე რა ხანია დედიკოსთან ერთად უკვე შინ არის და თავს მშვენივრად გრძნობს. სოფიკო დიდად ემადლიერება აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მედპერსონალს პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისათვის.



პირმშოს ვულოცავთ სოფიკოს და მიშიკოს, ბედნიერება, სიყვარული და ულევი სიხარული ნუ მოშლოდეთ. ღვთისმშობლის კალთა იფარავდეს მათ ოჯახს.

პირველ შვილიშვილს ვულოცავთ დარეჯან და ტიტე გურგენიძეებს, მეორე შვილიშვილს – ქეთევან და თამაზ ლონდაძეებს. ბედნიერი ბებია-ბაბუობა არგუნოთ ღმერთმა.

**ბელა დურგლიშვილი, ანზორ, თეონა და ეკატერინე ლომთაძეები.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი:** POT/**201**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-**GE

### ქ. ფოთში ჭანტურიას ქუჩის კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით **ქ. ფოთში ჭანტურიას ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთების** სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 9 674 მ² მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი № POT/201).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757

ანგარიში №3834080001

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ უნდა ახლდეს **წინადადების საბანკო გარანტია 8.000 ლარის ოდენობით.** საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, თბილისი 0105,** არაუგვიანეს **2004 წლის 22 ნოემბრის 12 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

4. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი:** POT/**202**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-**GE

### ქ. ფოთში ბარათაშვილის ქუჩის კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით **ქ. ფოთში ბარათაშვილის ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთების** სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 13 299 მ² მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი № POT/202).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ, შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757

ანგარიში №3834080001

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ უნდა ახლდეს **წინადადების საბანკო გარანტია 11.000 ლარის ოდენობით.** საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: **საქართველოს მუციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, თბილისი 0105,** არაუგვიანეს **2004 წლის 22 ნოემბრის 12 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

4. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი:** POT/**203**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-**GE

### ქ. ფოთში დემეტრე თავდადებულის ქუჩის კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით **ქ. ფოთში დემეტრე თავდადებულის ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთების** სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 13 725 მ² მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი № POT/203).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757

ანგარიში №3834080001

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს **წინადადების საბანკო გარანტია 11.000 ლარის ოდენობით.** საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: **საქართველოს მუცინიპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, თბილისი 0105,** არაუგვიანეს **2004 წლის 22 ნოემბრის 12 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

4. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

## ხსოვნა



### თინა ჯიჯეიშვილი

მოულოდნელი და ელდის მომგვრელი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ უეცრად გამოგვეცალა ხელიდან თითქოს საღ-სალამათი, მაგრამ თურმე უკვე სასიკვდილოდ განწირული ჩვენი უგულითადესი მეგობარი **თინა ჯიჯეიშვილი.**

მასთან შეხვედრა მუდამ სიამოვნებას გვგვრიდა. გულღია იყო და პირდაპირი. პირმშვენიერი და თვალმცინარე. მარადის მოწესრიგებული და ქალური კდემამოსილებით შემკობილი. ფრიად უხდებოდა სათვალე და რაღაც მონაცრისფრო-მოცისფროდ შეღებილი მოკლე თმა.

ჩვენც მივეხმატკბილებოდით ხოლმე: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“. დაიმორცხვებდა, მაგრამ ვიცოდით, რომ გულში უხაროდა. ჩვენც ვლაღობდით და ახლა სხვა სტრიქონებს დავაყრიდით დიდთა პოეტთა საუნჯიდან: „მაგრამ უეცრად შევჩერდი მშვენიერ თინათინაზე“...

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?“ ამ ხუთიოდე წლის წინათ დაიმეხა ლაღი და ამაყი ქალი – უკანასკნელ გზაზე გააცილა ძვირფასი მეუღლე რეზო ზაქარაია. მისი გარდაცვალების შემდეგ სიამე არ მიჰკარებია თინას გულს, რომელმაც მხოლოდ ხუთ წელიწადს გაუძლო.

თინა ჯიჯეიშვილი ნიჭიერი და განათლებული ქალი იყო. მან 1955 წელს ოქროს მედლით დაამთავრა სენაკის რკინიგზის №26 საშუალო სკოლა, ხოლო 1960 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

მას შემდეგ თითქმის 45 წლის მანძილზე განუწყვეტლივ ემსახურა ქართული მხატვრული და სასკოლო ლიტერატურის გამოცემას გამომცემლობებში „ნაკადული“ და „განათლება“, პარალელურად ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. გამომცემლობებში მოღვაწეობისას მან გაიარა დიდი შემოქმედებითი გზა – იყო კორექტორი, რედაქტორი, უფროსი რედაქტორი, სამეცნიერო რედაქტორი, რედაქციის გამგის მოადგილე და, ბოლოს, გარდაცვალებამდე ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოთა რედაქციის გამგე. მეტი აღარ დასცალდა მაშვრალ მანდილოსანს...

დიდად ვწუხვართ მისი მეგობრები, რომ ასე უდროოდ დაგვაკლდა გულითადი მეგობარი, რომელიც უთუოდ მოგვენატრება თვალცრემლიანებს.

**მეგობრები გამომცემლობა „განათლებიდან“.**

## გახსენება

### თემურ (კიკლია) ბერიძე



**თემურ,** გვენატრები და გვიყვარხარ.

23 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, ჩვენო საყვარელო, სანატრელო მეუღლევ და მამავ. გულდასაწყვეტია, რომ ვერ მოესწარი 44 წლის შესრულებას, რომელსაც, რატომღაც განსაკუთრებით ელოდი.

მე და შენ სიკვდილის მეტი ვერავინ და ვერაფერი დაგვაშორებსო, – მეუბნებოდი, მართალი ყოფილხარ. 28 აპრილის დილა საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის. ვწუხვარ, რომ შენი შვილების წარმატებები ერთად ვერ გავიზიარეთ.

უკვე ექვსი თვეა, რაც ჩემს გვერდით არა ხარ. ძნელია უშენობა, ყოველდღე გელოდები, მგონია, ისევ დაბრუნდები, მაგრამ ამაოდ. ვერც მე, ვერც ჩვენი შვილები უშენობას ვერ მივეჩვიეთ...

ჩემო ძვირფასო მამი! გაუსაძლისი თვეები გავიდა უშენოდ. მე და ირაკლის შენი გამხნევება და თანადგომა ახლა გვჭირდება, შენ კი წახვედი და დაგვიტოვე უზომო ტკივილი, მონატრება და სიცარიელე, რომელსაც დრო ვერაფრით ამოავსებს. გაუნელებელი ტკივილი დაუტოვე ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, მამას. რაღა დაგვრჩენია, ვილოცებთ შენი სულისათვის.

**მეუღლე – ლალი ბობღიაშვილი,**
**შვილები – ირაკლი და დალი ბერიძეები,**
**რძალი – თამუნა მაღრაძე და ნანატრი შვილიშვილი ლუკა ბერიძე.**



### შოთა საღლიანი

წუთისოფლის სტუმარი, სამშობლოში მასპინძელი იყავ.

მიწის მადლი გაითავისე და მამა-პაპური ადათწესის შემნახველად იქეც.

წლების მანძილზე თავკაცობდი მესტიის რაიონის ერთ-ერთ გამორჩეულ სოფელს – ცხუმარს.

გამორჩეული სოფლის სახელი მას სწორედაც რომ, შენი წყალობით დაენათლა.

იმ წლებში, როცა ხელმძღვანელის მძიმე უღელი გედგა ქედზე, სოფელში ერთი დანაშაულიც კი არ მომხდარა.

რთულ დროში მოგიწია ცხოვრებამ. ჭიუხებისა და თოვლ-წვიმის სუსხი ვაჟკაცური შემართებითა და მინდიას სულით ატარე.

ახლაც ახსოვთ და ყოველთვის ემახსოვრებათ შენი მგლის მუხლით გალეული წავარნები და ლეგენდადქცეული მონადირის სახელი.

სვანეთის მაღალ სახელს შენი „კაი ყმობის“ სახელიც შეემატება.

რამდენი სიყვარული გიტარებია ჩუმად, კაცურად.

მეუღლესთან განშორების წუხილმა ჩაგაქრო, რკინა-ფოლადი ჯავრის წვეთმა დალია.

მსუბუქიმც ყოფილიყოს მამულის მიწა შენთვის და მჯერა, მოყვარულნი გულნი იქამც შეერთდებიან.

**ერეკლე საღლიანი.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



მიხომ მოსწავლეობისას სკოლაში ყველა მერხი დანით დასერა. ახლა იგი ბიზნესმენია და ხეზე კვეთის კომბინატს ფლობს.

* * *

სტაჟიანი ავტოინსპექტორი და მისი სტაჟიორი ტრასაზე დგანან. სტაჟიანი მოძრაობის წესების დამრღვევ „შესსოტკას“ აჩერებს და მასთან სტაჟიორს აგზავნის. მანქანის ჩამუქებული მინა ორი სანტიმეტრით ჩამოიწევა, გამოჩნდება ორი თითი, რომელშიც 50 დოლარია გაჩრილი და ისმის ხმა:

– აჰა, ძაღლო, აილე!

„შესსოტკა“ ადგილიდანვე ტყვიასავით გავარდება. სტაჟიანი ავტოინსპექტორი მიუახლოვდება მოულოდნელობისგან გაშეშებულ სტაჟიორს, გამოართმევს მას უცხოურ კუპიურას და ეუბნება:

– ჩემია, ძაღლი მე ვარ, შენ ჯერ ლეკვი ხარ!

* * *

– სამი საათის განმავლობაში უკვე მეჩვიდმეტე კაბა მოიზომეთ, – ეუბნება გამყიდველი კლიენტს.

– რას ვიზამ, თქვენი ფასების გათვალისწინებით ეს ჩემთვის მათი ტარების ერთადერთი საშუალებაა.

* * *

დედამიწაზე ყველაზე უსარგებლო რამ სასაფლაოს ღობეა: იქიდან ვერავინ გამოდის, გარედან კი შიგნით არავინ ისწრაფვის.

* * *

– შენთვის შემთხვევით ყურზე სპილოს ხომ არ დაუბიჯებია?

– სხვათა შორის, საუკეთესო სმენა მაქვს.

– რა შუაშია სმენა, შენს ყურებს შეხედე!

* * *

სხვის ქისაში ფულის თვლა ბევრად გაიოლდება, თუ იმ სხვას საფულეს წაართმევთ.

* * *

კაცს, რომელსაც ცოლი გაექცა, მხოლოდ შურის გამო შეიძლება დასცინო.

* * *

ორი ციმბირელი თევზაობს.

– ცუდია, – ამბობს ერთი.

– რა არის ცუდი? – ეკითხება მეორე ნახევარი საათის შემდეგ.

– ის, რომ ჩემ ცოლთან კოტრიალობ, – უპასუხებს პირველი ნახევარი საათის შემდეგ.

– ღმერთო ჩემო, ეშმაკიც ვერ გაგიგებთ. შენ ამბობ, ცუდიაო, შენი ცოლი კი აღტაცებულია, – უპასუხებს ნახევარი საათის შემდეგ მეორე.

* * *

ქალებს ყველაფერი შეუძლიათ. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს რცხვენია.

* * *

რაც უფრო უკეთ იცი შენი ზომა, მით უფრო გიძნელდება მისი დაცვა.

## ლარის კურსი

**21 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| **ინგლისური გირვ.** | 1 | 3.3365 **ლარი** |
| **აშშ დოლარი** | 1 | 1.8450 **ლარი** |
| **ევრო** | 1 | 2.3215 **ლარი** |
| **რუსული რუბლი** | 1 | 0.0634 **ლარი.** |

თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სახვითი ხელოვნების კათედრის გამგის, ბატონ თამაზ სანიკიძის მეუღლე

მზია მგალობლიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იუწყება, რომ მინისტრის მოადგილეს, ბატონ გენრიხ მურადიანს გარდაეცვალა დედა

ასია მურადიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



მამა ალიოშა მირცხულავა, მეუღლე მანანა ჩიქოვანი, შვილი სამსონი, და დოდო, ძმა კობა, სიძე შურა დემეტრაძე, რძალი ნინა, სიდედრი დოდო ჩიქოვანი, დისწულები ირა, თათა დემეტრაძეები, ბიძა ბიძინა, დეიდები პელო, ნუნუ კაპანაძეები ოჯახებით, ბიძაშვილები რეზო, ინგა, ციცინო, გურამ, ირაკლი, მამიდაშვილი ნინო შულაია, რძალი ლია კიკნაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (ქუჩუ) მირცხულავა

პანაშვიდი 22, 23 X, 16 სთ. დაკრძალვა 25 X, 14 სთ. სიმონ ჩიქოვანის 24.

---

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა

მზია მგალობლიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კათედრის ყოფილი თანამშრომელი, სათნო ქალბატონი

ვენერა ჩაზულოვა-ჭანტურაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ბიცოლა ნარგიზა ბაძაღუა, ბიძაშვილები მერაბ, მანონ, ინგა გეჯუები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მამიდაშვილი

დალი იაშაღაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## დღის კალენდარი 21 ოქტომბრისთვის

ამოდის 08.08
ჩადის 18.22

( ამოდის 12.55, ჩადის 20.00

**წლის 295-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 71 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

**ხსენება ღირსი პელაგიასი (457); ღირსი თაისიასი (IV); მართალი პელაგია ქალწულისა (303).**

**დაიბადნენ:**

1833 – **ალფრედ ბერნჰარდ ნობელი,** შვედი გამომგონებელი, მრეწველი, მისივე სახელობის პრემიების დამაარსებელი.

**1868 – ალექსანდრე შატილოვი,** ცნობილი ექიმ-ოფთალმოლოგი, პროფესორი, გარდაიცვალა 1949 წელს.

**1904 – გიორგი წერეთელი,** გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი, გარდაიცვალა 1973 წელს.

**1919 – იოსიფ კადლეცი,** ჩეხი მწერალი.

**1945 – ნიკიტა მიხალკოვი,** რუსი მსახიობი და კინორეჟისორი.

**1949 – ბინიამინ ნეთანიაჰუ,** ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

**გარდაიცვალნენ:**

**1602 – დავით I,** კახეთის მეფე 1601-1602 წლებში.

**1805 – ჰორაციო ნელსონი,** დიდი ბრიტანეთის ფლოტის სარდალი.

**1845 – ნიკოლოზ ბარათაშვილი,** გამოჩენილი პოეტი.

**1969 – ჯეკ კერუაკი,** ამერიკელი მწერალი.

**1984 – ფრანსუა ტრიუფო,** ფრანგი კინორეჟისორი და მსახიობი.

**1992 – ჯიმ ჰარისონი,** ამერიკელი იურისტი, პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გამომძიებელი.

**მოვლენები:**

**2137 ჩვ.წ.აღ-მდე** – ჩინეთში პირველად აღწერეს მზის სრული დაბნელება.

**1492 წელი** – ქრისტეფორ კოლუმბმა ამერიკის კონტინენტი აღმოაჩინა.

**1520 წელი** – ფერნან მაგელანმა აღმოაჩინა სრუტე ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს შორის, რომელსაც შემდგომ მისი სახელი ეწოდა.

**1879 წელი** – ამერიკელმა გამომგონებელმა თომას ედისონმა გამოსცადა თავისი პირველი ნათურა.

**1923 წელი** – გერმანიის ქალაქ მიუნჰენის მუზეუმში გაიხსნა პირველი პლანეტარიუმი.

**1945 წელი** – საფრანგეთში ქალებს პირველად მიეცათ ხმის მიცემის უფლება.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**დიდი ბრიტანეთი** – ტრაფალგართან გამარჯვების დღე.

**ლაოსი** – სავსე მთვარის დღე.

**ინტერ-პრესი.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
**იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.**

დამფუძნებლები – გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი **თენგიზ კალანდაძე.**

მთავარი რედაქტორი
**რუსლან რუსია.**
მორიგე რედაქტორი
**ანზორ ბასილაია.**

**ინდექსი 66434,** მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**